

საგამომცემლო მონაცემები

© 2007, Jordi Pascual i Ruiz, Sanjin Dragojević, Philipp Dietaclimair, European Cultural Foundation, Interarts Foundation, ECUMEST Association
© 2009 ფონდი „კავკასია“

შესავალი სიტყვა: კორინა სურეუ

რედაქტორები: ასნელსოვს ედა (ევროპის კულტურის ფონდი)

დევიან ხეთაგური (ფონდი „კავკასია“ ნიდერლანდების სამეფო)

იური მღებრიშვილი (საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი)

თარგმანი ქართულ ენაზე: დევიან ხეთაგური, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

იური მღებრიშვილი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

იური მღებრიშვილი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სახელმძღვანელო, კულტურის მენეჯმენტის და კულტურის პოლიტიკის მიმართულებით

უფლებები დაცულია.

დაუშვებელია წიგნის რომელიმე ნაწილის გამოყენება ნებისმიერი ფორმით და საშუალებით, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, მათ შორის ფოტოკოპირება ან მაგნიტურ მატარებელზე საავტოო უფლებების მფლობელთა ნებართვის გარეშე.

საავტოო უფლებების დარღვევა კანონით ისჯება

ქართულ ენაზე გამოცემა მოამზადა საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტმა და ნიდერლანდების სამეფოს კულტურის საერთაშორისო ფონდმა „კავკასიამ“ ქალაქ თილისის მერის და ევროპის კულტურის ფონდის შარდალაკერით.

ქართულ გამოცემაში დაცემბრებით განსაკუთრებული მადლობა:

ევროპის კულტურის ფონდი - ფილიპ დიტაქმაირს
ქალაქ თილისის მერია - ქალბატონებს მაცო ჭოლოშვილს, ირინა საგანელიძეს

გამომცემლები

პროექტები დაფინანსებულია ევროკომისიის ბიუჯეტთან: დონისიძეა სამოქალაქო საზოგადოების მხარსასაჭერად.



European Cultural Foundation

ევროპის კულტურის ფონდი
5, Jan van Goyenkade 1075, HN Amsterdam
Pays Bas_www.eurocull.org



ასოციაციაცა ეუმესტო

9-11, rue Selari (Curtea sticlilor)
030068 Bucarest
Roumanie_www.ecumest.ro



ფონდი ინტერარტსი

272, Carrer Mallorca, etage 9, 08037
Barcelona, Espagne_www.interarts.net



სატელევიზიო ეაცვლები სამხრეთ-დასავლეთ ევროპასთან
95, Avenue du Diamant, B-1030 Bruxelles,
Belge_www.seetv-exchanges.com



ქალაქ თილისის მერია

7, Shartava str., 0160, Tbilisi,
Georgia_www.tbilisi.gov.ge



საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

19, Rustaveli ave., 0108, Tbilisi,
Georgia_www.tafu.edu.ge



ნიდერლანდების სამეფოს კულტურის საერთაშორისო ფონდი „კავკასია“

19, Chavchavadze ave., 0179, Tbilisi,
Georgia_www.caucasusfoundation.ge

ეროვნული ქალაქების კულტურული
და მემკვიდრეობის
ფონდის სახელმწიფო მმართველობის
მინისტრის განცხადებით

ერთი მხარეა თ რეესო ანონი
საინფორმაციო ტექნოლოგიები

ერთი მხარეა დიჯიტალიზაციის განხორციელება

ერთი მხარეა ინტერნეტის განვითარება
საინფორმაციო ტექნოლოგიები
ეროვნული კულტურის ფონდი ამერიკელი
ფონდი "კონსერვაცია" თბილისი
ქალაქის მერიის თბილისი
საქართველოს შინა რუსთაველის თეატრისა
და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისი



საქართველოს შინა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
„კენტავრი“
2009 წელი

შესავალი სიტყვა – კორინა სუტეუ

წინამდებარე გამოცემის მიზანია – დაკონკრეტდეს, ვინ გეყველინება ადგილობრივი კულტურის პოლიტიკის შემქმნელებად და ინიციატორებად თანამედროვე ევროპაში და ამით თეორიული წინაპირობის ფორმულირება მოვახდინოთ იმ ქაღალეების პოლიტიკის მომავალი ევოლუციისა, რომლებიც უშუალოდ ახდენენ გავლენას პირადი კეთილდღეობის დონეზე და კულტურულ პროცესში მონაწილეობაზე. კულტურა, როგორც განვითარების მეოთხე საყრდენი, თუ საუბარი მიდის ადამიანის უფლებებზე, და ქალაქის სიერცე, როგორც ადგილი კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობისა – აი, მხოლოდ ორი ამ მთავარი საკითხთაგან, რომელიც განიხილება ამ მეგზურში.

ამასთან ერთად მხოლოდ ახლა ადგილობრივი კულტურული პოლიტიკის რეფორმირება და გადასვლა ტრადიციული მოდელიდან „ხემოდან – ქვემოთ“, როდესაც ასეთი პოლიტიკა ევროპაში განიხილებოდა, როგორც მმართველი ელიტის განათლებული ხედვის უბრალო ხორცშესხმა, ახალი პროცესისაკენ ინდივიდებსა და საზოგადოებას შორის ურთიერთკავშირის აქტიური აღორძინებისა და სახელმწიფოს უნარისა დააკმაყოფილოს მოქალაქეების კულტურული მოთხოვნები, მიიქცია დამსახურებული ყურადღება მთელ მსოფლიოში. ნაწილობრივ ეს იმიტაც აიხსნება, რომ „მომხმარებლები“ ისე, როგორც არასოდეს ხდებიან თანამედროვე მსოფლიოს „შემქმნელი“ – ეს ფაქტია, რომელიც არ შეიძლება, არ შეამჩნიოს ადგილობრივმა კულტურულმა პოლიტიკამ. ნაწილობრივ იმიტაც, რომ არც თუ ისე დიდი ხნის წინ ნოვატორული ანგლო-საქსონური სრუნვა ადგილობრივ გაერთიანებებზე და მათ აქტიურ როლზე დემოკრატიული ხედვის ფორმირებაზე კულტურული ემანსიპაციის გავლით სინამდვილეში ფართო გავრცელება პოვა.

საბოლოოდ კი, არც თუ ისე მრავალრიცხოვანმა, მაგრამ ინტელექტუალურად დაწინაურებულმა ექსპერტთა ჯგუფებმა საკუთარი ენერჯია და ერთგულება არ დაიშურა ევროსაბჭოსა და იუნესკოს დამოუკიდებელ მხარდაჭერაში და ძალისხმევით განვითარებაში ადგილობრივი და რეგიონალური კულტურული პოლიტიკის ურთიერთკავშირის განვითარებისათვის.

რასაკვირველია, ადგილი არ არის ერთი ნაბიჯით უკან დაეხიოთ იმისათვის, რომ ნათლად განვიხილოთ ისეთი რთული საკითხი, როგორიც არის „მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი კულტურული პოლიტიკის ფორმირებაში“, მაგრამ არასამთავრობო ორგანიზაციების არც თუ ისე დიდი

* ასოციაცია ეკუმენის (ბუჰარესტი) პრეზიდენტი, რუმინეთის კულტურული ინსტიტუტის დირექტორი (ნიუ-ორკი)

ჯგუფების და ცალკეული ადამიანების გამჭრიახობის წყალობით და აგრეთვე ევროპის კავშირის (EU) გულუხვი ფინანსური მხარდაჭერით ეს ცნობარი იძლევა ასეთ შესაძლებლობას. რამდენად შეძლებს ეს წიგნი წარსული პროცესების ანალიზისათვის ინსტრუმენტების წარმოდგენას მომავალი განვითარების განჭვრეტის მიზნით, ანდა გახდება მნიშვნელოვანი შეფასებისათვის, სწორი გაგებისათვის და ასეთი რთული მოვლენის შემდგომი ფორმალისაციისათვის, დრო გვიჩვენებს.

წინასიტყვაობა ქართული გამოცემისათვის

სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ევროპულ ცივილიზაციაში იგი საუკუნეების განმავლობაში, ერთი მხრივ, იხვეწებოდა ადამიანთა უფლებების საკანონმდებლო თვალსაზრისით და, მეორე მხრივ, ვითარდებოდა ადამიანთა – ევროპული საზოგადოების ცნობიერება.

ევროპულ სახელმწიფოში უდიდესი ადგილი ეკავა ასევე ქალაქებს, რადგანაც თავად სახელმწიფოთა ისტორია ქალაქ პოლისებიდან – სახელმწიფოებიდან იწყება.

ურბანული და სამოქალაქო საზოგადოება ერთდროულად ვითარდებოდა. კულტურა და ურბანული აზროვნებაც ურთიერთკავშირშია.

დღეს, როდესაც ევროკავშირი, თანამედროვე დასავლური ცივილიზაცია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ადგილობრივი (ურბანული) თვითმმართველობის განვითარებას, როგორც ქალაუფლების დეცენტრალიზაციის და მასში კულტურის პოლიტიკის როლს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს წინამდებარე გამოცემა.

წარმოდგენილი წიგნი: „ევროპული ქალაქების კულტურული პოლიტიკის ფორმირების საკითხებში მოქალაქეთა მონაწილეობის მეგზური“, ერთ-ერთი პირველი ქართულენოვანი გამოცემაა კულტურის პოლიტიკის, განსაკუთრებით კი ურბანული პოლიტიკის შესახებ.

წიგნი პირველად 2007 წელს გამოიცა ევროპის კულტურის ფონდის მხარდაჭერით. მისი გამოცემა ევროპის კულტურის ფონდის მრჩეველთა საბჭოში ჩემს მუშაობას დაემთხვა და მოლაპარაკების საფუძველზე მივიღეთ კიდევაც მოკლე ვადაში მისი ქართულ ენაზე გამოცემის უფლებები.

ამ მეგზურის საშუალებით ქართული კულტურის სფეროს წარმომადგენლებს, დაინტერესებულ პირებს და საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს ეძლევათ უნიკალური საშუალება, უკეთ გაეცნონ ევროკავშირისა და მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის დოკუმენტებს, საქალაქო ხელისუფლების გამოცდილებას და მრავალ საინტერესო მაგალითს. ავტორები ცდილობენ შეკრიბონ საუკეთესო გამოცდილება, რის საფუძველზეც კარგად ჩანს, თუ როგორ ვითარდება კულტურის პოლიტიკა, კულტურული უფლებები, ურბანული და სამოქალაქო აზროვნება.

დასავლური ცივილიზაციის განვითარების დღევანდელ ეტაპზე უდიდეს მნიშვნელობას იძენს ძალაუფლების დეცენტრალიზაცია, განსაკუთრებით კულტურის სფეროში, მონოპოლისტურ სურვილებზე უარის თქმა და კულტურის სფეროში სხვადასხვა მოთამაშეთათვის და მონაწილეთათვის თანაბარი პარტიტული უფლებებისა და საშუალებების მინიჭება.

ქართული გამოცემა დიდ სამსახურს გაუწევს საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო.

წიგნი ქართულ ენაზე გამოდის თბილისის მეტიის მიერ დაფინანსებული პროექტის „ურბანული კულტურის პოლიტიკა და სათეატრო ხელოვნების“ ფარგლებში ევროპის კულტურის ფონდის (ამსტერდამი), საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდაჭერით, ნიდერლანდების სამეფოს საერთაშორისო კულტურის ფონდ „კავკასიის“ ინიციატივით.

პროფესორი ლევან ხეთაგური
ევროპის კულტურის პარლამენტის წევრი



11-20

წინასიტყვაობა – ფილიპ დიტამაიერი_ევროპის კულტურის ფონდი.

23-88

ნაწილი პირველი: მოქალაქეთა მონაწილეობა ევროპული ქალაქების კულტურული პოლიტიკის ფორმირებაში_ქორდი პასკუალ ი რუისი.

91-125

ნაწილი მეორე: როგორ დაგამუშაოთ ფართო მონაწილეობის კულტურული (ურბანული) პოლიტიკა_სანინ დრაგოვეინი.

126

რჩეული ბიბლიოგრაფია.

წინასიტყვაობა _ ფილიპ დიტაჰმაიერი

აქტიური, პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეების აღზრდა და მათი მოზიდვა ევროპული პოლიტიკის ფორმირებაში უფრო მარტივია ადგილობრივ დონეზე. პოლიტიკა, რომელიც იქმნება და ხორციელდება ადგილობრივად, უშუალოდ დაკავშირებულია ევროპელების საცხოვრებელ გარემოსთან. ადგილობრივი წინიონიკები და თანამშრომლები, რომლებიც იღებენ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, მუშაობენ უშუალოდ თავის მოქალაქეებთან და, როგორც წესი, მათთვის უფრო გასაგები და ხელმისაწვდომი კავშირია ევროპის კავშირის საშუალო სტატიისტიკურ მოქალაქესა და იმ ქალაქის მერს შორის, რომელშიც ქალი ან მამაკაცი ცხოვრობს, უფრო ახლო და უშუალოა, ვიდრე ევროპის კავშირის ნებისმიერ წარმომადგენელთან ბრიუსელში. იმავდროულად მოქალაქეები გრძნობენ უშუალო გავლენას ევროპის კავშირის პოლიტიკისა, ისევე, როგორც ევროპულ დონეზე დადგენილი ნებისმიერი სტანდარტისა, როდესაც ის ეხება მათ ქალაქებსა და მუნიციპალიტეტების ცხოვრებას. ევროპასთან კუთვნილება და თავისებური „პირადი საკუთრების“ გრძნობა ევროპის კავშირთან მიმართებაში, როგორც საერთო სახელმწიფო ფორმირებასთან, უნდა მომდინარეობდეს გონებიდან და გულიდან, ადგილობრივ დონეზე მიღებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით. ეს კი ნიშნავს, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილებები, მიღებული ევროპის კავშირის დონეზე, და საერთო ევროპული ფასეულობები უნდა პოვებდეს ასახეას ადგილობრივ კულტურულ პოლიტიკაში.

აქტიური, მრავალფეროვანი და შთაგონების მომცემი კულტურული ცხოვრება, ხელმისაწვდომი და ღიაა ყველა ადგილობრივი ჯგუფისათვის და სუბკულტურის წარმომადგენელთათვის, წარმოადგენს არსებით ნაწილს სოციალური სტრუქტურისა, რომელიც განსასწავლავს ფუნქციონალურობასა და მიზნიდევლობას საცხოვრებელი ადგილისა, სხვა სიტყვებით – შემოთავაზებულ ცხოვრების ხარისხს. სწორედ კულტურული ასპექტები მნიშვნელოვანწილად განსასწავლავენ, გარდაიქმნება თუ არა, ესა თუ ის ინდივიდი აღნიშნული ქალაქის მოქალაქედ. განსაკუთრებული კულტურა იმ ადგილობრივი საზოგადოებისა, სადაც ჩვენ დავიბადეთ, ვიზრდებოდით და ვიღებდით აღზრდას, ადგილობრივი კულტურა ქალაქებისა და დაბებისა, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით და ვცხოვრობთ დღესაც, აყალიბებს ჩვენ მსოფლმხედველობას ამ ადგილმდებარეობის სრულფასოვანი მოქალაქისა. ჩვენ მხარს უჭერთ

ადგილობრივი ცხოვრების სტილს, ემონაწილეობთ კულტურულ საქმიანობაში და შეგვაქვს ჩვენი წვლილი ჩვენი მშობლიური ქალაქის კულტურულ მოსაიკაში. დახურული ან ღია ადგილობრივი სასოფადოებები, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, მოსაწყენი ან საინტერესო, სიცოცხლით საყვარელი ან დეპრესიული, დაკმაყოფილებული ან გულგატეხილი, და ბოლოს – მიდრეკილი ან ღარიბები, აგრეთვე დამოკიდებულება იმაზე, ეს თუ ის ქალაქი ან დაბა როგორ უდგება კულტურის საკითხებს და როგორ აყალიბებს თავის კულტურულ პოლიტიკას. ევროპის მოქალაქეები „პირადად უნდა იყვნენ დაინტერესებულნი“, მიიღონ მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღებაში ადგილობრივ კულტურულ პოლიტიკასთან მიმართებაში. იმავდროულად პოლიტიკოსებს მართებთ წახალისონ და მხარი დაუჭირონ მოქალაქეების მონაწილეობას კულტურული პოლიტიკის შემუშავებაში, განეითაროს ახრი იმაზე, რომ „კულტურის სფერო წარმოადგენს ცხოვრების მნიშვნელოვან კომპონენტს დემოკრატიის პირობებში, ანალოგიურად ისეთი ოფიციალური სტრუქტურების და ინსტიტუტებისა, როგორიც არის პარლამენტი.“¹

ისეთი თვისება, როგორცაა მრავალფეროვნება ევროპის კავშირის დევიზიდან: „ერთიანობა მრავალფეროვნებაში“ გვევლინება შეუცვლელ ნიშანთვისებად ევროპის ადგილობრივ კულტურებში. მხარდაჭერა, განვითარება და ადგილობრივ დონეზე კულტურის მრავალფეროვნების დაკავშირება – ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ევროკავშირის ინტეგრაციისთვის და შემდგომში მისი გაფართოებისათვის. სათუთი დამოკიდებულება სხვადასხვა კულტურის მიმართ და საინტერესო თხრობა მათ თავისებურებებზე ევროკავშირის თანამედროვე და მომავალი მოქალაქეებისათვის – ეს არის საუკეთესო საშუალება, აღზარდო მათში ევროპული პროექტისადმი თანამონაწილეობის გრძნობა. რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს სოციალურ თანხმობას ევროკავშირის მოქალაქეთა შორის. და შეუძლია დაეხმაროს დღევანდელი ინტეგრაციის პრობლემების საუკეთესო გადაწყვეტაში, შეაფასებს რა პოლიტიკოსთა მიერ განსასაღწერელ გზას მოქალაქეთა მიერ არჩეული ბილიკით. უფრო ღრმა პირადი აქტია საერთო ევროპული კულტურის სიმდიდრისა და საერთო ფასეულობების უპირატესობისა, რომელიც ჩადებულა ამ კულტურების საფუძველში, რასაც ასევე შეუძლია შეარბილოს არსებული წინააღმდეგობა „სხვათა“ კულტურისადმი და მათი შეუცნობლობა, რომელნიც უკვე შეუერთდნენ ევროკავშირს და მის ნაბიჯებს, მისი მომავალი გაფართოებისათვის.

¹ ფრანსუა მარარასო. მრავალი ხმა: კულტურული მრავალფეროვნების მნიშვნელობა დემოკრატიულ სასოფადოებაში (Francois Matarasso, Many Voices: The importance of cultural diversity in democratic society), მოსსენება კულტურული მრავალფეროვნების შესახებ ევროპის კულტურის პოლიტიკაში, ვარა, შედეგით, 2006 წ. <http://homepage.mac.com/matarasso>

ევროპული ქალაქები - ეს რაღაც თავისებური სათბურებია, კულტურული რესურსებისა, მაგრამ ამასთანავე პრობლემების წყაროცაა, რომელიც წარმოქმნილია ადგილობრივი ან ჩამოსული კულტურული ჯგუფების მრავალფეროვნებით, რომლებიც იქ ცხოვრობენ. ამიტომ ადგილობრივი კულტურული პოლიტიკის განხილვისას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ქალაქებს. სწორედ აქ არის ყველა შესაძლებლობა, მოღიანობაში გავაერთიანოთ ადგილობრივი კულტურული თავისებურებების მთელი სულის ჩამბერი სიჭრელე და ხელი შეუწყვათ ადგილობრივი მოსახლეობისათვის მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომ ევროპულ ფასეულობებს. ამასთანავე ქალაქები იწყებენ მნიშვნელოვანი როლის შესრულებას ევროკავშირის ინტეგრაციისათვის დამატებით ღონისძიებებში. ქალაქების პოლიტიკა კულტურულ სფეროში იდეალურად ახერხებს ფართო პრობლემების გადაწყვეტას წარმოადინო ევროკავშირის გაფართოება ევროპელთათვის უფრო მეტად ხელშესახები და მნიშვნელოვანი. გარდა ამისა, ქალაქებში თავმოყრილია შემოქმედებითი პოტენციალი, ქალაქები გვევლინება ენერჯიტიკულ წყაროებად შემოქმედებით კონკურენტუნარიანობაში ევროკავშირში გლობალური მასშტაბით. მაგრამ არსებითად ეკონომიკური, სოციალური და კულტურული გამოწინა-მოგება ასეთი „საზოგადოებრივი შემოქმედებისა“, ითხოვს განვითარებას და სათუთ მოპყრობას, რაც კარნახობს ახალი კულტურული პოლიტიკის შექმნის აუცილებლობას, რომელსაც შესწევს უნარი, გაითვალისწინოს ყველა მოქალაქის ინტერესები. ამის მიღწევას ქალაქები შეძლებენ, მხოლოდ კულტურული პოლიტიკის დემოკრატიული, ფართო საზოგადოების „მონაწილეობის“ გზით, რომელიც გასაგები იქნება ყველა მაცხოვრებლისათვის.

ამ მეგზურში შემოთავაზებულია სხვადასხვა კონცეფცია და პრაქტიკული მიდგომა კულტურული პოლიტიკის საზოგადოებრივი შემუშავებისა, აგრეთვე დემონსტრირებულია შესაბამისი გამოცდილება რამდენიმე ევროპული ქალაქის მაგალითზე.

მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივ კულტურულ განვითარებაში ბოლო ოცი წლის განმავლობაში მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივ კულტურულ განვითარებაში სულ უფრო ხშირად ხდება მსჯელობის საგანი ევროკავშირის წევრ და ევროკავშირის ახალ კანდიდატ ქვეყნებში. ამ მგზსურის პირველ ნაწილში განიხილება ტერმინი „კულტურული მონაწილეობა“, რომლის მნიშვნელობაც ვარირებს კულტურულ ორგანიზაციებში მონაწილეობიდან, კულტურულ ღონისძიებებზე დასწრებით, აუდიტორიის ვარკვეული შემადგენლობით ან ქალაქის მცხოვრებელთა ყოველდღიური კულტურული ცხოვრებით. მგსურში ძირითადი აქცენტი კეთდება კულტურული პოლიტიკის ფორმირებაზე. აქ ნაწილებია, თუ როგორ თანამშრომლობენ უშუალოდ ევროპის ქალაქები ამ თვალსაზრისით ორგანიზებულ სამოქალაქო სასოგადოებასთან და ადგილობრივ მცხოვრებლებთან. კერძოდ, განიხილება თანამშრომლობის ფორმები ქალაქის ადმინისტრაციასა და კულტურის სფეროს სასოგადოების წარმომადგენლებთან და აგრეთვე დიალოგი კულტურული პოლიტიკის განვითარებაზე ქალაქის ხელმძღვანელობასა და მოქალაქეებს შორის.

როგორც ამ მგსურის ერთ-ერთი ავტორთაგანი, ყორდი პასკუალი აღნიშნავს: „სასოგადოებრიობის მონაწილეობა პოლიტიკის დამუშავებასა, რეალიზაციასა და შეფასებაში წარმოადგენს არა უბრალოდ შესაძლებლობას, არამედ განვითარებული დემოკრატიის დამახასიათებელ ნიშან-თვისებას“. მიუხედავად ჯერჯერობით არსებული ნაკლოვანებისა, სასოგადოებასთან ურთიერთობა და სამოქალაქო სასოგადოების მოსიდვა გადაიქცა ძირითად ტენდენციად პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ყოველ შემთხვევაში - დასავლეთ ევროპის ქალაქებში.

90-იან წლებში ახალი დემოკრატიის კულტურის სასოგადოებრივი ორგანიზაციების ძირითადი სწრაფვა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში გახდა კულტურული პოლიტიკის ფორმირება მოქალაქეთა „გაფართოებული მონაწილეობის“ გზით. თავიდან მცირე რაოდენობა კულტურის გამომწინაშე და დამოუკიდებელმა მოღვაწეებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომლებიც მუშაობდნენ კულტურის სხვადასხვა სფეროში, დაიწყეს ალტერნატიული პლატფორმის შექმნა, განსაკუთრებით კი ურბანულ სამოქალაქო სასოგადოებებში. არატრადიციულმა ხელოვნებამ და ინოვაციურმა მიდგომებმა ახალი თემები და შრეები წარმოაჩინეს, რამაც საშუალება მისცა შეექმნა მნიშვნელოვანი ალტერნატივები არსებული სახელმწიფო ორგანიზაციებისათვის. საერთაშორისო კავშირები და მხარდაჭერა და აგრეთვე დაინტერესება ახალგაზრდა მალალ მოტივირებული კულტურის მოღვაწეებისა

დაეხმარა ამ არასამთავრობო ორგანიზაციებს, გამხდარიყვნენ შესაძინევი მოთამაშენი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არარსებული თანამედროვე კულტურული ცხოვრების სცენაზე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქალაქებში.

ყოფილი ცენტრალური მართვის სისტემების ნგრევამ დემოკრატიზაციასა და ადმინისტრაციულ დეცენტრალიზაციასთან ერთად გამოიწვია გადაუდებელი მოთხოვნა პროცესის კულტურის სფეროში აღორძინებისა ან კიდევ მთლიანი შეცვლა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების ადგილობრივ დონეზე.

ადგილობრივმა მოთამაშეებმა იგრძნეს, რომ თამაში მიჰყავთ დამოუკიდებლად და პრობლემებს წვეეტენ უშუალოდ ადგილებზე ისე, რომ არ მიმართავენ გადაწყვეტილების მიღებ ყოფილი სტრუქტურების სემდგომ ხელმძღვანელობას. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ ისრდებოდა სასოგადოებრივი ორგანიზაციების მნიშვნელობა კულტურული მომსახურების სფეროში ურბანული სასოგადოებისათვის, მათ, როგორც წესი, არ გააჩნდათ არსებითი გავლენა კულტურული პოლიტიკის რეფორმებზე თავიანთ ქალაქებში. ადგილობრივი კულტურის მართვის მოქველებული სტრუქტურები ტრადიციულად დაკავებულნი იყენენ მათ დაქვემდებარებაში მყოფი საბიუჯეტო კულტურული ორგანიზაციების პრობლემებით. კულტურის პოლიტიკის რეფორმაში ახალი მოქმედი პირების მოზიდვა სამოქალაქო სასოგადოებიდან და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ორიენტირება ადგილობრივ მცხოვრებელთა მოთხოვნებისაკენ აღმოჩნდა სრულიად ახალი კონცეფცია პოსტსოციალისტური ეპოქის ქალაქების ადმინისტრაციებისათვის და აშკარად უკმაყოფილებით იყო მიღებული.

ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ევროპის კულტურის ფონდი, ასოციაცია ECUMEST და მათი ადგილობრივი პარტნიორები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში აგზავნიდნენ თავის საპროექტო ინიციატივებს სწორედ რომ ამ პრობლემების გადასაჭრელად. პროექტი პროგრამისა: „პოლიტიკა კულტურისათვის“ (Policies for Culture)² ეხმარებოდა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს, კულტურულ სფეროში მოღვაწეთ, დაემყარებინათ კავშირები ხელისუფლებასთან და შეერთებოდნენ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესებს ქალაქების დონეზე – ეს პროექტები აერთიანებდნენ სახელმწიფო ხელისუფლების, კულტურის საბიუჯეტო ორგანიზაციებს, დამოუკიდებელ კულტურულ ორგანიზაციებს და სხვა პოტენციურ

² www.policiesforculture.org

მონაწილეებს ინფორმაციის მასობრივი საშუალებები (კერძო სექტორი) სხვადასხვა შეხედულების დაბალანსებაში იმ საკითხებზე, რომელიც წარმოადგენდა საერთო ინტერესს ადგილობრივ კულტურულ განვითარებაში.

იმავედროულად ისეთი ორგანიზაციები, როგორც არის ფონდი: „ინტერარტსი“ და რამდენიმე ქსელური სასოგადოებრივი და მუნიციპალური კულტურის ორგანიზაცია¹ აგროვებდა, იკვლევდა და ავრცელებდა ამ დარგში ძირითადად დასავლეთ ევროპის ქალაქებში არსებულ გამოცდილებას. მაგრამ ამასთანავე, პრაქტიკულად არსად ევროპაში (განსაკუთრებით აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპას შორის) არ ხორციელდებოდა შედარებითი ანალიზი საუკეთესო გამოცდილებისა, არ ხდებოდა პოპულარიზაცია მოქალაქეების მონაწილეობის უსრუნველყოფის მექანიზმისა კულტურული პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღების დროს ადგილობრივ დონეებზე.

დღემდე აქტიური კულტურული ცხოვრების ყველაზე რეალურ განვითარებას და ეფექტურ უსრუნველყოფას ახორციელებენ ქალაქები და მათი მცხოვრებელნი ისევე, როგორც ცოდნის გაცვლას, „დამატებითი - ღირებულების“ მნიშვნელობის განსაზღვრას ევროკავშირის კულტურის პოლიტიკის განსაზღვრის დროს ადგილობრივ დონეზე „თანამონაწილეობას“, რაც საჭიროებს დამატებით სასოგადოებრივ ღონისძიებებს მთელი ევროპული სასოგადოების დონეზე. ამასთანავე ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების გაცვლამ ევროკავშირის ქვეყნებში შესაძლებელია ბიძგი მისცეს ქალაქებსა და ადგილობრივ სასოგადოებრივ ორგანიზაციებს, გაიხედონ ადგილობრივი კულტურული პოლიტიკის ჩარჩოებს მიღმა და მონაწილეობა მიიღონ ევროპის განვითარებაში, როგორც თავისებურ კულტურულ პროექტში. სწორედ ამიტომაც სემთ მოხსენიებულმა სამმა ორგანიზაციამ დაიწყო პროექტი „აქტიური მოქალაქეები – ადგილობრივი კულტურა – ევროპული პოლიტიკა“, რისი შედეგიც გახდა ეს „ევროპული ქალაქების კულტურული პოლიტიკის ფორმირების საკითხებში მოქალაქეთა მონაწილეობის მეგზური“ რომელშიც შესაძლებელი გახდა ფართო პრაქტიკული გამოცდილების შეგროვება, მოქალაქეთა გაფართოებული მონაწილეობისა კულტურული პოლიტიკის ფორმირებაში. გაანალიზებული იყო აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ქალაქების მიღწევები ამ სფეროში და შეგროვდა ის პრაქტიკული სიახლენი, რომელიც არსებობს ევროპაში. ამ მეგზურის შინაარსი დაფუძნებულია 2006 წელს გამოკვლეული და შეგროვილი ფაქტების შედეგებზე. გამოკვლევები ემყარებოდა რამდენიმე ევროპული ქალაქის პრაქტიკული კვლევის ჩანაწერებს, რომლებიც

¹ მაგალითად, ევროქალაქების ქსელი (www.eurocities.org), ევროპის ქალაქებისა და რეგიონების ასოციაცია კულტურის მხარდასაჭერად (www.lesrencontres.org), პროექტი ევროკულტი 21 (www.euroculi21.org) და ა.შ.

მონაწილეობდნენ იმ ორგანიზაციების პროექტებში, რომლებმაც გამოსცეს ეს მეგზური. აქვე აგრეთვე წართულია შედეგები ქალაქების წარმომადგენელთა და გამომწვევი ექსპერტთა, სამუშაო შეხვედრების შედარებითი ანალიზისათვის ანდა თანამედროვე ევროპულ ქალაქებში სასოგადოებრივობის კულტურული პოლიტიკის განვითარებაში მონაწილეობის საკითხის მდგომარეობის ცოდნისა და გამოცდილების ასახვისა.⁴

ევროპული ქალაქების კულტურული პოლიტიკის ფორმირების საკითხებში მოქალაქეთა მონაწილეობის მეგზური

წარმოდგენილი გამოცემა მიზნად ისახავს განსაზღვროს სასოგადოებრივობის მონაწილეობის პრინციპი, სტანდარტული საშუალებების სახით კულტურის სფეროში თანამედროვე და მომავალი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ევროპის ყველა ქალაქში. ამ მიზნით ჩვენ ვცადეთ შეგვემუშაებინა მოქნილი მეთოდოლოგია, რომელიც გვიჩვენებდა, რომ ყველა საკითხი, რომელიც აწუხებს ადგილობრივ მოთამაშეებს (კულტურის სფეროს სპეციალისტებს – სახელმწიფო მომსახურებებს და პოლიტიკოსებს – სამოქალაქო სასოგადოებებს/მოქალაქეებს/ ამასთანავე უნდა გავითვალისწინოთ ქალაქებისათვის კულტურის ახალი პოლიტიკის შემუშავების დროს. მოქალაქეების მიზიდვის გაფართოებული მონაწილეობის გზით. სტანდარტულ პრინციპად ევროპის ყველა ქალაქისათვის უნდა გახდეს ადგილობრივი კულტურული გაერთიანებების წარმომადგენელთა მთავარი როლი დიალოგში კულტურული პოლიტიკის შემუშავების საკითხებში და აგრეთვე მოზიდვა ყველა სასოგადოებრივი და სახელმწიფო მოთამაშისა, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მონაწილეობით ქალაქის კულტურული განვითარების დისკუსიებში.

ბარსელონაში სამუშაო შეხვედრის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ევროპული ქალაქები იყენებენ სხვადასხვა მიდგომას, რაც ეხება სასოგადოებრივობის მონაწილეობას კულტურული პოლიტიკის ფორმირებაში. ნათელი გახდა, რომ ადგილობრივი კულტურა და ტრადიციები აგრეთვე გავლენას ახდენენ პოლიტიკის ფორმირების საშუალებებზე. ნაწილობრივ ეს ეხება ამ მეგზურში მოყვანილ სხვადასხვა მაგალითს ადგილობრივი გამოცდილების, როგორც დონით, ისე ფორმად სასოგადოებრივობის მოზიდვისა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ადგილობრივ კულტურულ

⁴ ბარსელონაში 2006 წლის სექტემბერში შემდგარი ამ შერჩევის დოკუმენტები და ასევე ქველა დამხმარე მასალა, ვადმოცემული ქალაქების წარმომადგენელთა და ცალკეული ექსპერტების მეტა-შეხვედრის დოკუმენტი ვებ გვერდზე: www.policiesforculture.org

პოლიტიკასთან მიმართებაში. ქვემოთ ჩვენ ვცდილობთ აეხსნათ ადგილობრივი კულტურული პოლიტიკის ფორმირებაში მოქალაქეების მონაწილეობის, სხვადასხვა მიდგომა სხვადასხვა პრინციპის და კონცეფციის შემოთავაზებით. ჩვენი მიზანი იყო, შემოგვეთავაზებინა არა ის, თუ როგორ უნდა გაკეთდეს ხისტი და უნივერსალური მეთოდოლოგია, არამედ, პირიქით, როგორ უნდა შევქმნათ მკითხველის შთაგონება გადაწყვეტილებების მიებისათვის, რომელიც ოპტიმალური იქნება შესაბამის ადგილობრივ კონტექსტში.

ეს მეგზური გათვალისწინებულია კულტურის სასოგადოებრივ ორგანიზაციებზე, სპეციალისტებზე, რომლებიც მუშაობენ როგორც არასამთავრობო, ასევე სამთავრობო კულტურულ სექტორში, ნაწილობრივ სახელმწიფო პოლიტიკოსებზე და მოსამსახურეებზე, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან კულტურული პოლიტიკის შემუშავებაზე ევროპული ქალაქების ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებში სახელმწიფო ადმინისტრაციაში. გარდა ამისა, ეს გამოცემა გზავნილია სასოგადოებრივი და ადგილობრივი ორგანიზაციების ქსელებისათვის, კულტურის სფეროში მოღვაწეთათვის, მართვის ყველა შესაბამისი ორგანოებისათვის და, რასაკვირველია, ევრო კავშირის ყველა დაინტერესებული მოქალაქისათვის.

მეგზური შედგება ორი ნაწილისაგან: პირველ ნაწილში მოყვანილია მრავალრიცხოვანი კონცეფცია და კულტურის გაგება და მოქალაქეების მონაწილეობა ევროპის თანამედროვე ქალაქებში. პირველ ნაწილში მოყვანილი საერთო და აბსტრაქტული პრინციპების გაგება, მნიშვნელოვანია პრაქტიკული ნაბიჯების გადასადგმელად, რომელიც შემოთავაზებულია მეორე ნაწილში. ორივე ნაწილი მდიდარია მაგალითებით, რომლებიც წარმოდგენილია თითოეული განხილული ქალაქის გამოცდილებით და შევსებულია ბარსელონაში ექსპერტების შეხვედრების დროს გაკეთებული წინადადებებით. ეს უნდა დაეხმაროს მკითხველს, განსასწავროს შესაძლებელი ქმედებანი და საკუთარ ქალაქებში მათი დანერგვის რეალისტური გზები.

უორდი პასკუალს პირველ ნაწილში მოჰყავს სხვადასხვა კონცეფცია და საკითხი, რომლებიც დღეს განსასწავრავენ ევროპულ დისკურსს მოქალაქეთა თანამონაწილეობისა კულტურის პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. საჭიროა მათი გათვალისწინება მანამდე, სანამ შევადგენთ ღონისძიებათა კონკრეტულ გეგმას, განსასწავრულს მეგზურის მეორე ნაწილში:

კულტურა და ადამიანის უფლებები → მეოთხე საყრდენის ფორმირება:
კულტურა → ადგილობრივი/გლობალური პრობლემის გადაწყვეტა →
მრავალფეროვნება განვითარებაში → პოლიტიკური გადაწყვეტილებების
მიღებაში მონაწილეობის მნიშვნელობა → მოქალაქეობრიობის ახალი
გაგებისათვის → კულტურული არეალის განსასღვრა და დაგეგმარება →
ინსტიტუციური ინოვაცია.

აქედან გამომდინარე სანიონ დრაგოვეინი გეთავაზობს ღონისძიებებს და
პრაქტიკულ საკითხებს ადგილობრივი კულტურის პოლიტიკის
ჩამოყალიბებისათვის ფართო მონაწილეობის მისაღებად. იმისათვის, რომ
დაიწიონ მოქმედება, პოლიტიკოსებმა და სახელმწიფო მოხელეებმა, კულტურის
მუშაკებმა და საზოგადო მოღვაწეებმა, რომლებიც მოწვეულნი არიან ამ
პროცესში, საჭიროა გაითვალისწინონ ისეთი მთავარი ნაბიჯები, როგორცაა:

პრობლემათა და შესაძლებლობათა, უპირატესობათა და წინააღმდეგობათა
ანალიზი → მთავარი მიზნებისა და პრიორიტეტული ქმედებების განსასღვრა
→ კულტურული რესურსების არეალის განსასღვრა → ღირს თუ არა
სტრატეგიული გეგმის დასახვა → მთავარი რისკებისა და მათი თავიდან
აცილების გზები → ძირითადი საშუალებები, ინსტრუმენტები და ღონისძიებები
→ მონიტორინგის პროცედურები და უტაპების შეფასება.

რთული და ფართო პრობლემების მართვის ათვისების მიზნით, რომელიც
მოითხოვს განხილვას მოქალაქეთა მონაწილეობის დროს ადგილობრივი
კულტურული პოლიტიკის ფორმირების მსჯელობისას, მეგზურს თან ახლავს
რჩეული ნაშრომების და ლიტერატურის დამატებითი სია.

მეგზურში წარმოდგენილი თეორიული კონცეფციები და პრაქტიკული
ღონისძიებები ილუსტრირებულია დოკუმენტური ფილმით. 2007 წელს
ევროპულ ტელე არხებზე დაიწიეს ამ პროგრამის ჩვენება, რომელიც
დემონსტრირებას უკეთებდა კულტურის მოღვაწეთა და პოლიტიკოსთა
მაგალითებს და პრაქტიკას ისეთ ქალაქებში, როგორც არის: ბარსელონა,
ლილლი, ზაგრები და ტიმისუარე. ფილმი შეიქმნა ბრიუსელის პროგრამის
ფარგლებში „სატელევიზიო გაცვლები სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპასთან“.

23-88

მოქალაქეთა მონაწილეობის შესახებ ევროპული ქალაქების კულტურის პოლიტიკის ფორმირებაში_ეორდი პასკუალ ი რუისი.*

* ეორდი პასკუალ ი რუისი იკვლევს კულტურის პოლიტიკის და ადგილობრივი მართვის პრობლემებს. გაერთიანებული ქალაქებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა კულტურის საკითხების სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ბარსელის საქალაქო საბჭოს კულტურის ინსტიტუტის მხრიდან, რომლის მისიაცაა „21 საუკუნის დაგეგმვა – კულტურა“ (www.bcn.es/21culture.net). პროგრამის კოპულარიზაცია. ეორდი პასკუალ ი რუისი რამდენიმე ნაშრომისა და ანალიტიკური ანგარიშის ავტორია კულტურის პოლიტიკისა და ადგილობრივი მართვის და განვითარების საკითხებში, კერძოდ: „კულტურის განვითარების ადგილობრივი სტრატეგიის შემუშავება სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. პრაქტიკისა და გამოცდილების ვარიანტები“ (policies for culture, 2003), „კულტურა, გაერთიანება და სოციალური თანხმობა ესპანეთში“ (Canadian/Journal of communication, 2002) და „მესამე სექტორი: კულტურა უპირველეს ყოვლისა! ადგილობრივი კულტურის პოლიტიკა, მესამე სექტორი და დასაქმება“ (Interarts Foundation-European Commission, 1999)

მოქალაქეთა მონაწილეობის შესახებ ევროპული ქალაქების კულტურის პოლიტიკის ფორმირებაში_ქორდი პასკუალ ი რუისი

კულტურა და ადამიანის უფლებები → მეოთხე საერთაშორისო ფორმირება:
კულტურა → ადგილობრივი/ გლობალური პრობლემების გადაწყვეტა →
მრავალფეროვნება განვითარებაში → მონაწილეობის მნიშვნელობა
პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში → მოქალაქეობრიობის
ახალი გაგებისათვის → კულტურული არეალის განსაზღვრა და დაგეგმარება
→ ინსტიტუციური ინოვაცია.

მოკლე შინაარსი

დღეს არის მთელი რიგი ძალა, რომლებიც უპირისპირდება კულტურის
აგრონომიურობას როგორც თავისი დამოუკიდებლობით, ასევე თავისი არსითაც,
მაგალითად, კულტურული ფუნდამენტალიზმი და კულტურის
ინსტრუმენტალიზაცია, რაც ბოლო დროს ასრულებს მნიშვნელოვან როლს
ევროპის ქალაქების პოლიტიკაში. ამ ძალების საპირისპიროდ გამოდის
ფოკუსირება კავშირზე კულტურასა და ადამიანთა უფლებებს შორის. დღეს,
როგორც არასდროს განვითარების პროცესი პირადულია თითოეული
ინდივიდისათვის და ეს განვითარება არ იქნებოდა სრულყოფილი კულტურის
გარეშე, რაც აფართოვებს არწივების შესაძლებლობებს და ინდივიდუალურ
უსასღერო თავისუფლებას. თუ არსებობს უფლებები კულტურაზე, შესაბამისად,
უნდა არსებობდეს სახელმწიფო პასუხისმგებლობაც, რაც ნიშნავს კულტურის
პოლიტიკის აუცილებლობას.

კულტურასა და ადამიანთა უფლებათა შორის კავშირი ქმნის მოძრავ
ძალას კულტურული მრავალფეროვნებისა, აყალიბებს ახალ ტრადიციებს,
რისი წყალობითაც პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში მოქალაქეების
მონაწილეობა და აგრეთვე პოლიტიკის რეალიზაცია და შეფასება წარმოადგენს
უკვე არა მარტო შესაძლებლობას, არამედ დემოკრატიის დამახასიათებელ
ნიშან-თვისებებსაც. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც წყენი
საზოგადოების წინაშე დგას, არის ის, თუ როგორ გავხადოთ თვალსაწიანო და
ჩამოეყალიბოთ პროცესები მოქალაქეების წარმოსახვისა და მონათხრობის
შექმნისა – ახალი კულტურული ფორმების დაბადება. კულტურის არეალის
განსაზღვრა და კულტურის დაგეგმარება და აგრეთვე ინსტიტუციური ინოვაცია

აქალებს განვითარების მეოთხე საყრდენს (კულტურას). გ'სა კულტურული მოქალაქეობრიობისაკენ სწრაფი არ არის. მოეთხოვებათ გამძლეობა და ლიდერშიფი, ასევე ახალი ალიანსი კულტურის სფეროში და სასოფადოებრივობის შორის.

1. კულტურა და ადამიანის უფლებები

„ოთხოველ ადამიანს გაანინია უფლება, თავისუფლად მიიღოს მონაწილეობა სასოფადოების კულტურულ ცხოვრებაში, დატკბეს ხელოვნებით, მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო პროგრესში და ისარგებლოს მისი ხიკეთით“.

ეს არის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის (1948) მუხლი 27 (1). იციან კი ევროპის მოქალაქეებმა ასეთი უფლების არსებობა? რას ნიშნავს კონკრეტულად სიტყვათა წეობა: „კულტურული ცხოვრება“ და რას ნიშნავს „მონაწილეობა“? რომელ „სასოფადოებას“ მიღის საუბარი დეკლარაციაში? როგორ ახორციელებენ ევროპული სახელმწიფოები ცხოვრებაში ამ ფუნდამენტურ უფლებას? როგორ აკეთებენ ამას ქალაქები? როგორ ითვალისწინებენ პოლიტიკაში აღნიშნულ მუხლს? უმღის თუ არა ხელს რაიმე მისი შესრულების გაკონტროლებას? სამწუხაროდ, ასეთ კითხვებს ხშირად არ სვამენ და არც ხშირად სცემენ მასსე პასუხებს.

უკიდურესად რთულია განსაზღვრო ისეთი ცნება, როგორცაა „კულტურა“, მისი სემანტიკა იმდენად ფართოა, რომ გარდაუვლად მიეკავართ არასწორ განმარტებამდე და არასწორ გაგებამდე. კულტურის თანამედროვე განსაზღვრებები, ისეთი, როგორცაა, მაგალითად, იუნესკო ან „21 საუკუნის დაეალეობა – კულტურა“ (Asenda 21 for Culture)⁶ განსაზღვრება კულტურული მრავალფეროვნების მოდელის მნიშვნელობის გაზრდასთან ერთად (იხ. ქვემოთ) დემონსტრირებას ახდეენ, რომ ცნება „კულტურა“ შესაძლებელია მოდიოდეს მისი თავდაპირველი მნიშვნელობიდან, როგორც გარკვეული „დინამიკური პროცესი“ რომელიც ბადებს თავისუფლებას. კულტურის ასეთი განსაზღვრებები, დინამიკური პროცესის სახით ასახავენ დისკუსიებს მის მნიშვნელობაზე, აუცილებლობაზე და კულტურისა და ადამიანის უფლებათა დაკავშირების გადაუდებელ მოთხოვნაზე კი. როგორც აღნიშნა ედუარდ დელგადომ 2001 წელს, „კულტურის პოლიტიკა, რომელიც შენდება სულიერ ფასეულობებზე,

⁶ www.un.org/overview/nrhis.html

⁶ www.agenda21culture.net, ასევე ისლესი წანართი

ითვალისწინებს, იმას, რომ კულტურა ეს არის ადამიანის ერთ-ერთი უფლებათაგანი, რომელიც ადამიანის ღირსების საფუძველშია ჩადებული“. [Eduard Delgado, 2001, გვ. 4]. როგორც ჩანს, ეს საკვანძო სიტყვაა: ადამიანის ღირსება. ჩვენ ეცხოვრობთ ფუნდამენტალიზმისა და რელატივიზმის გაფურსქების დროში, როდესაც გროშიც კი არა ღირს ადამიანის ღირსებისადმი პატივისცემა. მოწოდებამ: დაეკავშიროთ კულტურა ადამიანის უფლებებთან, შეიძლება თავიდან აგვაცილოს იმისაგან, რომ კულტურა და კულტურის მრავალფეროვნება გამოეყენებულ იქნეს იმისათვის, რომ გაეამართლოთ დევნა, გაძევება და ადამიანის ღირსების შელახვა. მაგრამ კულტურის თავისუფლებას არა მხოლოდ ფუნდამენტალიზმი ემუქრება. გადასვლა „ფორდისმიდან“ „პოსტფორდისმისაკენ“, მიდერნიზმიდან პოსტმიდერნიზმამდე მთითხივს კულტურისაგან ახალ ფუნქციებს, „უკანასკნელი რესურსის“ ანდა საზოგადოების „რეგულატორის“ სახით. კულტურისაგან ელიან სამუშაო ადგილების შექმნას, ქალაქის სახის გაუმჯობესებას, ადგილმდებარეობის აღრიდინებას – კულტურას დღეს „მინიჭებულნი“ აქვს განსაკუთრებული როლი საზოგადოებაში.

მასობრივი მთხივნეილეები, კომმუნიკაციკაცია, კულტურული „თემატიკა“ და კლასიკური სიმბოლოს მქონე ნაგებობები ყოველივე ეს ამ დანიშნულებათა რიგშია. ამიტომაც სრულიადაც არ არის გასაკვირეუ იმის შიში, რომ კულტურამ შეიძლება დაკარგოს თავისი დამოუკიდებლობა და საკუთარი აზრი, რომელიც შეადგენს მის არსს. კულტურის ინსტრუმენტალიზაციის შიშის მაგალითის წარმოადგენს სემინარი *ევროპული კულტურის პოლიტიკა – 2015. ევროპაში თანამედროვე ხელოვნების მომავალი რეგულაციკაცია და ფინანსების ანგარიში და სტენარები. iaspis & eiccp [2005]*⁷ მასში აღწერილია საშიშროება კულტურის „დამუნჯებისა“ „სანახაობათა საზოგადოების“ გაბატონებისას (გი დებორი [Guy Debord]) რომელიც მალაგს უთანასწორობას და იყენებს კულტურას *უკანასკნელი რესურსის* სახით (ჟორჟ იუდიცი [George Yudice]) და აგრეოვე გეპატიეება რა ჩვენ „სიკედლაძე გასართობად“ (ნილ პოსტმენი [Neil Postman]). კულტურის განვითარების სოგიერთი სტრატეგია, რომელიც შემუშავებულია ევროპული ქალაქების მიერ, ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ინსტრუმენტალიზაციის პარადიგმის კოპირებას ახდენენ. საუბარი, რასაკვირეულია, ამ საშიში ცნების პირდაპირ გამოყენებაზე არ არის; თუმცადა პროგრამების და ღონისძიებების ანალიზი, რომლებსაც ეს სტრატეგეიები ანიჭებენ უპირატესობას ანდა რეალიზებული პროექტების შეფასება (თუკი ასეთი იყო ნატარეული რამდენიმე წლის

⁷ iaspis-The international Artist's Studio Programme in Sweden (სელოპანია სავოაშირისი სსკლსონიობის პროგრამა შედელიში), eiccp-European institute for progressive cultural policies (ევროპული ინსტიტუტი პროგრესული კულტურული პოლიტიკისათვის, ენა). <http://eiccp.net>

შემდეგ) ხშირად მიგვანიშნებს იმაზე, რომ განსახილველი მოდელის წარმატება მიღწეულ იქნა სხვა პროგრამების და ღონისძიებების ხარჯზე, რომელთაც შესწევდათ უნარი, გაეხარდათ კულტურისადმი ხელმისაწვდომობა ან გაეფართოვებინათ კულტურაში მონაწილეობის შესაძლებლობა. კულტურული უფლებები იშვიათად არის გათვალისწინებული ქალაქების მიერ კულტურის სტრატეგიის განვითარების შემუშავებისას.

მთავარი ასრი, რომელსეც გვინდა გაემახვილოთ ყურადღება, ეს არის ის, რომ ადამიანის განვითარების პროგრამა, რომელიც პირადულია თითოეული ადამიანისათვის, რჩება არასრული, კულტურაში წვლილის შეტანის გარეშე. ამავე დროს კულტურა თავის დინამიურ განვითარებაში, როგორც იყო ნათქვამი, აფართოებს არჩენის შესაძლებლობას და აძლევს ყველას დიდ თავისუფლებას. იუნესკოს დეკლარაციის მუხლ 3-ში კულტურის მრავალფეროვნებაზე¹ მკაფიოდაა ნათქვამი:

„კულტურული მრავალფეროვნება აფართოებს ყოველი ადამიანისათვის არსებულ არჩენის შესაძლებლობას (...), როგორც საშუალებას, რომელიც უზრუნველყოფს სრულფასოვან ინტელექტუალურ, ემოციურ, სხეობრივ და სულიერ ცხოვრებას“.

ასეთი ფორმულირება კულტურას ან კულტურულ მრავალფეროვნებას აახლოვებს თავისუფლების განსაზღვრებასთან, რომელიც შემოგვთავაზა 1988 წლის ნობელის პრემიის ლაურეატმა ეკონომიკის დარგში, ამარტია სენმა [Amartya Sen], როგორც არჩენის შესაძლებლობის გაფართოების პროცესი. სენის თანახმად, „თავისუფლება ნიშნავს ცხოვრების „გაუმჯობესებას, რომელსაც ჩვენ ვეწვეით და თავისუფლებისა, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ“, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „თავისუფლების გაფართოება“, რომელსაც ჩვენ უნდა ვაფასებდეთ იმისათვის, რომ გავხდეთ „უფრო მეტად შევსებულნი სოციალური პიროვნებებით, მოვახდინოთ რა საკუთარი ნებასურვილის გამოვლინების რეალისება [შეგნებული არჩევანის უნარი] მსოფლიოსთან ურთიერთქმედებით, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ და მასზე გავლენით“ (...) პოსიტიურ თავისუფლებას, თვლის სენი, გაანია „შინაგანი მნიშვნელობა, როგორც უმთავრესი მიზანი განვითარებისა, ანუ სახელმწიფო პოლიტიკისა“ (გარრეტი [Garrett] 2003).

თავისუფლების განმარტება ჩადებულია გაეროს განვითარების სამოქმედო პროგრამის საფუძველში (UNDP) და ადამიანის განვითარების ინდექსის გათვლებში. განვითარების პროგრამის ხელმძღვანელმა მრავალი წლის

¹ <http://unesdoc.unesco.org/images/0012/001271/12760m.pdf>

განმავლობაში მარკ მალოხ ბრაუნმა [Mark Malloch Brown] აღნიშნა: „ადამიანური განვითარება“ – ეს ისაა, რაც, უპირველეს ყოვლისა, ადამიანებს საშუალებას აძლევს, თავის მიერ არჩეული ცხოვრებით იცხოვრონ და ანიჭებს მათ ინსტრუმენტებს და შესაძლებლობებს ამ არჩევნის გასაკეთებლად“ [UNDP 2004], იგი ასევე ამბობს, რომ კულტურული თავისუფლების განვითარება ადამიანში ხდება ემოციისა და კრიტიკული აზროვნების და თითოეული ადამიანის, სა'სოგადოებასთან და ტერიტორიასთან გაერთიანების პროცესში. პირადი ქცევა გაებდავთ და ვიტყვი: პირადი პასუხისმგებლობა, უდაოდ, ხდება განმსაზღვრელი ფაქტორი ამ თავისუფლების მისაღწევად. ამ მნიშვნელობით 21-ე საუკუნის დაეალება - კულტურა მიუთითებს, რომ „თითოეული ადამიანის კულტურული ინდენტურობა დინამიკურია“ (მუხლი 13). მაგრამ, როგორც სენი ხსნის, უუნარობასა, „უნარიანობას“ და „საქმიანობას“ შორის არც თუ ისე დიდი მანძილია. კულტურის პოლიტიკა სწორედაც რომ მოწოდებულია მის დასაძლევად.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და საერთაშორისო პაქტები „სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებზე“ (1966 წ.)⁹ და „ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებზე“ (1966 წ.)¹⁰ ჩადებულია კულტურასა და ადამიანის უფლებებს შორის კავშირზე. უფრო მოგვიანებით იუნესკომ გაშალა საყოველთაო დეკლარაციაში კულტურის მრავალფეროვნებაზე (2001) და კონვენციაში კულტურული თვითგამოხატვისა და მრავალფეროვნების ფორმების დაცვაზე და წახალისებაზე. (2005 წ.)¹¹ რითაც ხა'ლი გაუსეა კულტურის შესაძლებლობებს ამ უფლებების რეალიზაციაში. 2005 წლის კონვენციის მუხლ 2.1-ში ნათქვამია:

„კულტურული მრავალფეროვნების დაცვა და წახალისება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც გარანტირებულია ადამიანის უფლებები და ისეთი ძირითადი თავისუფლებები, როგორც არის: აზრის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის თავისუფლება და აგრეთვე შესაძლებლობა თითოეული პირისათვის კულტურული თვითგამოხატვის ფორმის არჩევისა. არავის შეუძლია გამოიყენოს არსებული კონვენციის დებულება ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლების შელახვის ან შეზღუდვისათვის, რომლებიც ვანცხადებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, რომელიც გარანტირებულია საერთაშორისო სამართლით“.

⁹ www.ohchr.org/english/law/ccpr.htm

¹⁰ www.unhcr.ch/html/menu3/bja_cesecr.htm

¹¹ www.unhcr.ch/html/menu3/bja_cesecr.htm

კულტურასა და ადამიანის უფლებებს შორის კავშირის აღიარება ნიშნავს, კულტურის მთავარი როლის აღიარებას ყოველმხრივ განვითარებაში, რაც ფუნდამენტს უქმნის სახელმწიფო პასუხისმგებლობას, ანუ აუცილებლობას, რათა კულტურულმა პოლიტიკამ გადალახოს მანძილი „უნარობიდან“ „უნარობამდე“ და „საქმიანობამდე“.

თანამედროვე მოვლენები ისე, როგორც არასდროს ადრე, თხოულობს პირად შესწავლას, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ კულტურული საქმიანობის და მასში დიდი გამოცდილების წყალობით. თუ კულტურა წარმოადგენს თავისუფლებისა და განვითარების შემადგენელ ნაწილს, მაშინ სახელმწიფო ინსტიტუტებმა უნდა მოქმედონ ისეთი კანონები და სტრატეგია, მოგვიანებით კი - პროექტები და ამოცანები, რომლებიც კულტურის წყალობით მისცემდა ყველა მოქალაქეს, მცხოვრებელს სრულყოფილი ადამიანური განვითარების საშუალებას. კულტურის პოლიტიკა მოწოდებულია შექმნას ისეთი საშუალებები, რომლის მსგავსის უზრუნველყოფის ძალაც არ შესწევს სახელმწიფო პოლიტიკის არცერთ სფეროს. კულტურის პოლიტიკა შესაძლებელია ეყრდნობოდეს ეგრეთ წოდებულ კულტურის შიდა ფასეულობებს, რომელიც შეიცავს ისეთ ცნებებს, როგორიცაა: მეხსიერება, შემოქმედება, კრიტიკული აზროვნება, ტრადიციები, ხარისხი, სილამაზე და მრავალფეროვნება (შესაძლებელია, კიდევ სოფიერთი სხეაც). როგორც მითითებულია ერთ-ერთ კვლევაში (ბალტა და პასკუალი [Balta and Pascual], 2005), „კულტურის არგუმენტირება ადამიანის უფლებების თვალსაზრისით, იმის გაგება, რომ თითოეულს უნდა გააჩნდეს უფლება ხელოვნების ნაწარმოებზე, შემოქმედებით თვითგამოხატვაზე, საშუალება ახალი მხატვრული ფორმების შექმნისა სხვა ადამიანებთან ურთიერთობით, აძლიერებს და აკადილებს ფიქრს კულტურის პოლიტიკაზე და კულტურის მნიშვნელობაზე სასოგადოებრივ ადგილებში – რასაც ეყრასოდეს დაუახლოვდები, თუკი განიხილავ კულტურას, მხოლოდ და მხოლოდ როგორც საშუალებას და რესურსს სხვა მიზნების მისაღწევად“. სხეანაირად გამოხატა ეს „ფუნდამენტალური ცვლილება“ ჯონ ჰოლდენმა [John Holden, 2006.]: „მე-20 საუკუნეში ჩვენ, სასოგადოებას – განსაზღვრავდა ორი რამ: ჩვენი ეროვნება და ჩვენი სამუშაო“. ასეთ ვითარებაში კულტურა იყო ორივე - მხარდაჭერაც და ჯილდოც. ის გამოდიოდა მხარდამჭერად, რამდენადაც ჩვენ ვცხოვრობდით შედარებით ერთგვაროვან სასოგადოებებში შკაფიო იდენტურობით; კულტურული ნიშნები იყო ნათელი და სრულიად გასაგები. ის იყო ჯილდოც,

რამდენადაც აღიქმებოდა, როგორც ჯილდო შესრულებული სამუშაოსათვის, დასვენების სახეობა, რომლის უფლებაც გვეძლეოდა ყოველდღიური სერიოზული საქმიანობის შემდეგ. 21-ე საუკუნეში ყველაფერი შეიცვალა. ჩვენი ეროვნული სახელმწიფოები უკვე აღარ არის ერთგეაროებიანი; თითოეული მოქალაქე წარმოადგენს რომელიღაცა უმცირესობის ნაწილს; ჩვენ უკვე აღარ განგვსაზღვრავს ჩვენი სამუშაო – მრავალი ჩვენგანი იძულებულია აქონდეს, რამოდენიმე სხვადასხვა სამუშაო, მიიღოს სამუშაო, აკეთოს შესვენებები კარიერაში, მიიღოს ახალი კვალიფიკაცია, როდესაც ჩნდება ბაეშეები, გადახედოს თავის ფუნქციებს, და ა. შ. ასეთ ვითარებაში ჩვენ ხალხს, სულ უფრო მეტად გვჭირდება კულტურა იმისათვის, რომ ჩვენს ცხოვრებას მიეცეთ ახრი, მოვახდინოთ ფორმირება საკუთარი და კოლექტიური ინდენტურობისა“.

ბოლოს კი უნდა აღინიშნოს, რომ კულტურის გაერთიანება ადამიანის უფლებებთან მაშინაც კი, როცა მთავარ საგანს ორივე შემთხვევაში წარმოადგენს ინდივიდი, ასევე აწევენ სოციალური სფეროს ან საზოგადოების მნიშვნელობას. ასევე საინტერესოა ციტატის მოყვანა ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციიდან (UDHR) რასაც ასევე ხშირად ივიწყებენ:

„თითოეულ ადამიანს აქვს ვალდებულებანი საზოგადოების წინაშე, რაც ერთადერთია. რომელშიაც ადამიანის პირუცხების თავისუფალი და ყოველმხრივი განვითარების შესაძლებლობა აქვს“.


ეს სტატია სხვებისაგან განსხვავებით საკმაოდ წინააღმდეგობრივია, იმიტომ რომ სიტყვა „საზოგადოება“ გამოიყენება, როგორც ძალიან ფართო ცნება. ეს სტატია დღეს რომ ყოფილიყო შეთანხმებული, მისი ავტორები, ალბათ, სიტყვას „საზოგადოება“ მხოლოდითი რიცხვის მაგივრად, ჩასვამდნენ მრავლობითში „გაერთიანება“, რითაც ასახავდნენ თანამედროვე კულტურის რეალიებს, რომელსაც ყოველთვის ქმნიდნენ მრავალრიცხოვანი გაერთიანებები მაშინაც კი, როცა ნაციონალური მემატეიანენი ეცდებოდნენ დამალათ ან უერყოთ იგი.

2. კულტურის, მეოთხე საყრდენის ფორმირება

თავის ნაშრომში *მეოთხე საყრდენის მტკიცე განვითარება კულტურის არსებითი როლი სახელმწიფო დაგეგმვაში* ავსტრალიელმა მკვლევარმა ჯონ ჰოუკსმა [Jon Hawkes, 2001] ჩამოაყალიბა მეოთხე ახალი „საყრდენის“ აღმართვის აუცილებლობა მტკიცე და ადგილობრივი განვითარებისათვის. ჰოუკის

თანახმად ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო სექტორის განვითარება დგას ოთხ საყრდენზე: ეკონომიკური საყრდენი პასუხისმგებელი უნდა იყოს მატერიალური ფასეულობების შექმნაზე; სოციალური საყრდენი ანაწილებს ამ ფასეულობებს; ეკოლოგიური საყრდენი აკონტროლებს ამასთან პასუხისმგებლობას გარემოზე; მაგრამ განვითარების წრე ვერ შეიქმერება კულტურის მეოთხე საყრდენის გარეშე.

ჯონ პოუკის მიერ შემოთავაზებული კონცეფცია ძალიან დამაჯერებელია. მის მიერ გამოყენებული მეტაფორა ემყარება მტკიცე განვითარების „სამკუთხედს“ (ეკონომიკური ურთიერთობა + სოციალური ჩართულობა + ეკოლოგია), რაც შემუშავებული იყო 1980-იანი წლების მეორე ნახევარში. საბასო დოკუმენტად იქცა (ბრუნდტლანდის კომისიის ანგარიში)¹² წარმატებულად დამკვიდრდა 1990-ში და გამოიყენება დღემდე, ადგილობრივ ნაციონალურ და გლობალურ სტრატეგიებში განვითარების ნიშნად ანალიზისა და სახელმწიფოს ძალაუფლების საქმიანობისათვის. მაგალითისათვის გამოდგება ლისაბონის სტრატეგია¹³, რომელიც შეიცავს ევროკავშირის პოლიტიკური პრინციპების განვითარებას 2010 წლამდე და ეყრდნობა ამ გონივრულ სამკუთხედს:




ნახაზი 1. განვითარების ძველი სამკუთხედი

¹² გაერთიანებული ერების ეკონომიკის და სოციალურ ურთიერთობათა დეპარტამენტი www.un.org/esa/sustdev/

¹³ http://ec.europa.eu/growthandjobs/index_en.htm

დღეს არსებობს საფუძვლიანი მიზეზები ვამტკიცოთ, რომ კულტურა ხდება განვითარების მეოთხე საყრდენი. კულტურის მოღვაწეებს სჭირდებათ დამაჯერებელი მეტაფორები და სახეები იმისათვის, რომ ადამიანის განვითარების კულტურული საზომის აღქმა აღძრას და უზრუნველყოს კულტურისათვის არსებითი როლი სახელმწიფოს ხელისუფლების საქმიანობაში. ამასთანავე, არც ისე იოლია დაიცვა კულტურა, თუკი არ გადავხიდე სხეულმწიფო მართვის სხვა სფეროებთან. ამრიგად, „მეოთხე საყრდენი“ გვევლინება ასეთი დამაჯერებელი სახით და ამყარებს საიმედო ხიდებს.



ნახაზი 2. განვითარების ახალი კვადრატი

ჰოუკსი თავის მიზანს ხედავს კონცეპტუალური საფუძვლის შექმნაში კულტურის გარდასაქმნელად (მეოთხე) ადგილობრივი პოლიტიკის ღერძად, ამიტომაც უპირატესობას ანიჭებს გამოიყენოს ისეთი სიტყვები, როგორცაა: „კონცეფცია“, „პერსპექტივა“, „საცერი“ „პოლიტიკის“ ნაცვლად. „ჩვენი საჯარო დაგეგმვის პროცედურები მოითხოვს განსაზღვრულ სტანდარტულ მეთოდს კულტურული გავლენის შეფასებისა ყველა წინადადებაზე, – წერს, ჰოუკსი, – თუკი კულტურული საქმიანობა აღიარებულია ისეთივე მნიშვნელოვან ხარისხში სტაბილური და ჯანმრთელი საზოგადოებისათვის, როგორც სოციალური თანასწორობა, ეკოლოგიური პასუხისმგებლობა და ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა და თუკი კულტურა არის ყველგან, ყველა ადამიანურ ინიციატივებში აუცილებელ ინსტრუმენტად, იმისათვის რომ დარწმუნდე, რომ სახელმწიფო ხელისუფლების მთელი საქმიანობა შეფასებულია

კულტურული პერსპექტივით“¹⁴ და აგრძელებს: „კულტურის პოლიტიკის ცალკეული დამუშავების მაგივრად, განვითარების საუკეთესო საშუალება იქნება განსაზღვრული კულტურული კონცეფციის დამუშავება, რომელიც მისაღები იქნება ყველანაირი პოლიტიკისათვის. იდეალში ყოველი საჭიანობა, პროგრამა, პოლიტიკა და ნებისმიერი ორგანიზაციის გეგმა (მაგალითად, ადგილობრივი საბჭოსი) უნდა ფასდებოდეს, გაელენასთან მიმართებაში, რომელთაც უეკე შეძლეს და/ან უეკე იქონიეს გაელენა მდგრადი განვითარების ოთხივე სფეროს თითოეულ მათგანზე (რასაკვირველია, შესაძლებელი დამთხვევის გათვალისწინებით)“ [2001, 32] კულტურის შინაგანი ფასეულობები (მეხსიერება, შემოქმედება, კრიტიკული აზროვნება, ტრადიციები, ხარისხი, სილამაზე და მრავალფეროვნება (შესაძლებელია კიდევ ზოგიერთი სხვა) სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ადამიანის განვითარებაში. სახელმწიფო ხელისუფლება თანდათან აღიარებს ამ ფაქტს თავის პოლიტიკაში და ითვალისწინებს დღის წესრიგში.

როგორ შეიძლება იყოს რეალიზირებული კულტურული უფლებები? ანამარი ლაქსონენის [Annamari Laaksonen, 2006] აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია პოლიტიკის დაეგმვისას უფლებებზე ორიენტირებული მიდგომა, რამდენადაც ის ქმნის პარამეტრების ნორმატიულ ჩარჩოებს, რომელშიც უნდა იმოქმედოს სახელმწიფო ადმინისტრაციამ პოლიტიკის შემუშავებისას. (...) კულტურული უფლებების სფერო გამოდის შევითხვევის სასაღვრებს გარეთ, რომელიც ეხება კულტურულ თვითგამოხატვას და შემოქმედებას და ამრიგად ამტკიცებს საბაზო მექანიზმების მოძიების მხარდაჭერისა და სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების აუცილებლობას და ასევე მასში მონაწილეობის უსრუნველყოფას, კულტურის ხელმისაწვდომობისათვის, უფლებებს თვითგამოხატვაზე და კულტურის განმარტებაზე, შენარჩუნებაზე და წარმოქმნაზე, როგორც პოლიტიკის ფორმირების ძირითად პრინციპებზე“. თუმცა ხშირად შეიძლება მოისმინოთ, რომ კულტურული უფლებები მეტად აბსტრაქტულია. *21-ე საუკუნის დაელება - კულტურა* საჭიროა განვიხილოთ როგორც დეკლარაცია ქალაქებისათვის კულტურულ უფლებებზე. ისე რომ, ესევე, მუნიციპალური საბჭოები, რომლებიც აღიარებენ *21-ე საუკუნის დაელება - კულტურას*, მოლაპარაკებას აწარმოებენ მოქალაქეებთან რათა მხარი დაუჭიროს კულტურულ უფლებებს და რეალიზება გაუკეთონ მათ ადგილობრივ დონეებზე პოლიტიკითა და პროგრამებით. იხ. ჩანართი ა და ბ.

¹⁴ რიდეც შემთხვევაში ისეთი წინადადება შეისლება დააკეთოთ ინიციატივასთან, რომელიც გამოქმულა 25-ე მუხლში „დაელება 21-ე საუკუნე კულტურისათვის“: „დახმარება გაუწიოთ ფორმების დანერგვას კულტურული შედეგების შეფასებისას“ აუცილებელ პირობად წითვალის განხილვა სახელმწიფო და ადგილობრივი პროექტებისა, რომელთაც თან სდევს ცვლილებები ქალაქების კულტურულ ცხოვრებაში“.

21-ე საუკუნის დავალება – კულტურა. მძღებულია ქალაქებისა და ორგანიზაციების ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მთელს მსოფლიოში 2004 წლის 8 მაისს, როგორც სახელმძღვანელო დოკუმენტი ადგილობრივი კულტურის პოლიტიკისათვის. ქალაქების მსოფლიო ასოციაციამ, ქალაქებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის გაერთიანებამ (UCLG) *21-ე საუკუნის დავალება - კულტურა* დამტკიცეს კულტურის რეფერატული დოკუმენტის სახით თავისი პროგრამებისათვის და აგრეთვე თავის თავსე აიღეს კოორდინატორის როლი შემდგომი ნაბიჯებისათვის. *21-ე საუკუნის დავალება - კულტურა* შედგება 67 მუხლისაგან, დაყოფილი სამ დიდ ნაწილად: პრინციპები (16 მუხლი), მოქმედება (29 მუხლი) და რეკომენდაციები (22 მუხლი). ნაწილში „პრინციპები“ აღწერილია კავშირი კულტურასა და ადამიანის უფლებებს, მრავალფეროვნებასა და მდგრად განვითარებას, დემოკრატიაში მონაწილეობასა და მშვიდობას შორის. ნაწილი „მოქმედება“ ყურადღების ფოკუსირებას ხელისუფლების ორგანოების პასუხისმგებლობაზე ახდენს და დეტალურად განიხილავს მოთხოვნას ადგილობრივ პოლიტიკაში კულტურის ცენტრალური როლის შესახებ. ნაწილი „რეკომენდაციები“ იცავს კულტურის მნიშვნელობის აღორძინებას და მოითხოვს, რომ ის გაითვალისწინონ პროგრამებში, ბიუჯეტში და ხელისუფლების სხვადასხვა დონის საორგანიზაციო სტრუქტურებში (ადგილობრივი, რეგიონალური და ნაციონალური), აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებში.

დღესდღეობით ქალაქები იყენებენ *21-ე საუკუნის დავალება* – *კულტურას* ერთი მხრივ, კულტურის მნიშვნელობის შესანარჩუნებლად ადგილობრივ განვითარებაში ნაციონალური ხელისუფლებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე, ხოლო, მეორე მხრივ – ადგილობრივი კულტურის პოლიტიკის გასაძლიერებლად. „21-ე საუკუნის დავალება - კულტურის“ დამტკიცებას დიდი სიმბოლური მნიშვნელობა აქვს: ეს გახლავთ ქალაქის მსადაყოფნის გამოხატვა გახადოს კულტურა ადგილობრივი პოლიტიკის საკვანძო ელემენტი და ასევე სიგნალიც სოლიდარობაზე და თანამშრომლობაზე მთელ მსოფლიოში ქალაქებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციებთან.

2006 წლის 24 ოქტომბერს UCLG სამუშაო ჯგუფმა მოინიშნა დოკუმენტი „რჩევები „21-ე საუკუნის დაეალება - კულტურასთან“ მიმართებაში ადგილობრივ დონეებზე“. დოკუმენტი შეიცავს საერთო რეკომენდაციებს, რომელიც შეიძლება გამოგვადგეს. ის სტიმულირებს ქალაქებს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, „განიხილონ მნიშვნელოვანი საკითხები, რომელიც მოხსენებულა შემდგომ სტატიებში, თავისი პოლიტიკის ფორმირებისას“. ქვემოთ მოყვანილია მესამე ნაწილი „რჩევები“:

ა). ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკური ლიდერშიფი უმაღლესი დონე.

ბ). შემოთავაზებული ისტრუქციების გამოყენება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მთლიანობაში, და არა მარტო ცალკეული სამსახურების, სექტორებისა ან განყოფილებების მიერ, რომლებიც პასუხისმგებლები არიან კულტურაზე.

გ). ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები კულტურული პოზიციების კატალიზატორებს წარმოადგენენ: სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, შეთანხმების მიღწევა, ურთიერთპასუხისმგებლობის ჩამოყალიბება.

დ). მოქალაქეების ხელშეწყობა და სტიმულირება დემოკრატიული თანამონაწილეობის ფორმირებაში, რეალიზაციაში და კულტურის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შეფასებაში.

ე). ინფორმაციის გამჭვირვალობა, მოქალაქეების ინფორმირება სხვადასხვა არხის მეშვეობით.

ვ). ექსპერტების მხრიდან მკაფიო მეთოდისა და ნათელი არგუმენტაცია კულტურის პოლიტიკისა და კულტურის მართვის საკითხებში.

ზ). განსაზღვრულ ტერიტორიაზე ცალკეულ ადამიანთა და ორგანიზაციათა, ისევე როგორც კულტურის წარმომადგენელთა და ასევე მთელი მოსახლეობის მხრიდან სხვადასხვა კულტურული საჭიროებისა და მოთხოვნილებების აღიარება.

თ). განსაზღვრული ტერიტორიის კულტურული რესურსები აერთიანებს როგორც „კლასიკურ“ სექტორს (კულტურული მემკვიდრეობა, ხელოვნება, ბიბლიოთეკები), ასევე ახალ წარმონაქმნებსაც: კრეატიული ინდუსტრიები, მედია, განათლება და სპორტი.

ი). შეთანხმების გაძლიერება კულტურის სექტორში მიზნებისა და ქმედებების წყალობით, რომელიც ყურადღების ფოკუსირებას ახდენს კულტურის შინაგან ფასეულობებზე.

კ). კულტურის, როგორც საზოგადოებრივი სფეროს, გაძლიერება თვითგამოხატვის თავისუფლებაზე დაყრდნობით, კრიტიკული აზროვნებით, მრავალფეროვნებით, თანამონაწილეობით და შემოქმედებით. ამ სფეროს კვებავენ კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები, და აგრეთვე მოქალაქეები საკუთარი შემოქმედებით თვითგამოხატვის მეშვეობით.

ლ). კორდინაცია კულტურულ დაგეგმვასა და ქალაქის სტრატეგიულ გეგმებთან ანდა ნებისმიერ ადგილობრივ კომპლექსურ დაგეგმვას შორის (როგორცაა, მაგალითად: ადგილობრივი დაგეგმვა 21 საუკუნე, ადგილობრივი სექტორის მოლაპარაკება, ადგილობრივი სექტორის კომპლექსური დაგეგმვა.

მ). სექტორათშორისო გამოყენება, მიეცეს ქალაქის განვითარების მთელ პროგრამას კულტურული პერსპექტივები იმ მიზნებისა და მოქმედებების წყალობით, რომელიც გეინვენებს, თუ როგორ გავლენას ახდენს კულტურა მოქმედებებზე ისეთ დარგებში, როგორცაა: განათლება, ჯანდაცვა, ქალაქის დაგეგმვა, ეკონომიკა და როგორ გავლენას ახდენენ ისინი კულტურაზე.

ნ). ინოვაციური პროგრამების შექმნა, საკვანძო პროექტების დამუშავებისათვის შეიქმნას ლაბორატორიები ან სპეციალური ქვეგანყოფილებები.

ო). პროცესურების დამუშავება შეთანხმებულ დაგეგმვებზე განცხადების შეტანასა და კონტროლზე.

პ). კულტურული განვითარების ინდიკატორების სისტემის შექმნა.

ჟ). კულტურის პოლიტიკის /მენეჯმენტის/ შუამდგომლობის შესწავლის მოთხოვნებიდან ანალიზი, საზოგადოებაში კულტურის ცენტრალური როლიდან გამომდინარე.

რ). ადგილობრივი კულტურული პროცესის კავშირი რეგიონალურ, ნაციონალურთან და საერთაშორისო დონის სახელმწიფო მართველობასთან, იმისათვის, რომ განისაზღვროს პრიორიტეტები ამ კონტექსტში და მიემართოს ახალ ეკონომიკურ რესურსებს.

ს). ქალაქის მონაწილეობა პარტნიორობის მრავალმხრივ ქსელებში და კულტურული თანამშრომლობის ასოციაციებში, რომლებიც აწარმოებენ ურთიერთგაცვლას საუკეთესო პრაქტიკებით და ინარჩუნებენ კულტურის მნიშვნელობას ნაციონალურ და საერთაშორისო პროგრამებში.

უფრო დაწვრილებით „21-ე საუკუნის დაეალება - კულტურაში“, ნაშრომის შესახებ წაიკითხეთ www.agenda21culture.net

ჩანართები:

რეალიზაციის ოთხი ინსტრუმენტი „21-საუკუნის დაეალება კულტურაში“ ადგილობრივ დონეზე

„რჩევები „21-ე საუკუნის დაეალება - კულტურაში“ ადგილობრივ დონეზე“ დანერგვისათვის (იხ. ჩანართი ა) შემოთავაზებულია აგრეთვე ოთხი „სპეციალური ინსტრუმენტი“, რომლის გამოყენებაც შეუძლია ნებისმიერ ქალაქს, იმიტომ, რომ „საერთო რეკომენდაციები აისახოს მის ცხოვრებაზე“. ქვემოთ მოყვანილია ფრაგმენტები მე - 4 ნაწილიდან „რჩევებიდან“:

1. ადგილობრივი კულტურული სტრატეგია

ადგილობრივი კულტურული სტრატეგიის განვითარების პროცესი შედგება დებატებისაგან, შემუშავებისაგან და დოკუმენტის მიღებისაგან, რომელიც ქმნის განსაზღვრული ქალაქის კულტურული პრიორიტეტების მონახას. ყველაზე უფრო ეფექტური გზაა - კულტურული სექტორის ყველა წარმომადგენელის განსაზღვრული ტერიტორიიდან, სასოგადოებიდან და ადგილობრივი ადმინისტრაციიდან მოზიდვა. ჩვეულებრივ ეს სამუშაო იწყება მოცემული ქალაქის აუდიტის და კულტურული რესურსების შეფასებისა და ეკონომიკური, სოციალური და ტერიტორიული ტენდეციების განსაზღვრიდან. ამის შემდეგ

შესაძლებელია ადგილობრივი კულტურული სტრატეგია წარმოდგენილ იქნეს დოკუმენტის ფორმით, რომელიც განიხილება და მიღებული იქნება მუნიციპალიტეტის საბჭოს პლენარულ სხდომაზე ან შესაბამისი საბჭოების და კომისიების სხდომაზე სასოგადოებრიუობის წარმომადგენელთა მონაწილეობით. როგორც წესი, ასეთი დოკუმენტი შედგება მისიის, მისნებისა და ღონისძიებების განსახლვრებისაგან. ის აწესებს ადგილობრივი თვითმართველობების ორგანოების, კულტურული სფეროს წარმომადგენლებისა და სასოგადოებრიუობას შორის ურთიერთპასუხისმგებლობას. ტიპური ადგილობრივი სტრატეგია აგრეთვე შეიცავს შესრულების მანუერებლების და თითოეული მისნისა და ღონისძიებების შეფასების პროცედურების მონიტორინგის გრაფიკს.

2. კულტურის უფლებებისა და პასუხისმგებლობის ქარტია

კულტურული უფლებებისა და პასუხისმგებლობის – ადგილობრივი ქარტია დოკუმენტია, რომელიც განსახლვრავს კულტურის უფლებებს და პასუხისმგებლობას გარკვეული ტერიტორიის მცხოვრებელთათვის. ასეთი დოკუმენტის საფუძვლად ჩადებულია ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაცია და სხვა ხაერთაშორისო შეთანხმებები, რომელიც ეხება ადამიანის უფლებებს და კულტურას. კულტურული უფლებების ადგილობრივი ქარტიის დამუშავება ითვალისწინებს ადგილობრივი კულტურული სექტორის წარმომადგენლების, სასოგადოებრიუობის, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებისა და ექსპერტების ადამიანის უფლებების განხრით აქტიურ მონაწილეობას. ჩვეულებრივ, ასეთ დოკუმენტს იღებენ მუნიციპალური საბჭოს პლენარულ სხდომაზე და ნიშნავენ ცალკეულ ადამიანს ან ორგანიზაციას პასუხისმგებლად ქარტიის შესრულებაზე, ასევე შუამდგომლად არც თუ ისე იშვიათად საკმაოდ რთულ სიტუაციებში, როდესაც საქმე ეხება კულტურულ უფლებებსა და პასუხისმგებლობას.

3. *კულტურის საბჭო*

კულტურის საბჭო – ეს არის საზოგადოებრივი ორგანო, რომელიც განიხილავს განსასულერული ქალაქის კულტურის საკითხებს. ჩვეულებრივ, ეს საბჭო წარმოადგენს კულტურული სფეროს მრავალფეროვნებას: სხვადასხვა დარგს (კულტურული მემკვიდრეობა, ხელოვნება, ბიბლიოთეკები...) სხვადასხვა მიმართულებას (დიდი ორგანიზაციებიდან მცირე ოპერატორებამდე), სხვადასხვა სტრუქტურას (სახელმწიფო, კერძო, ასოცირებული) და ა. შ. ძირითადად საბჭო განიხილავს და გამოთქვამს აზრს ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული პრობლემების თაობაზე. მისი უფლებამოსილება შეიძლება იყოს სხვადასხვა: ვიწრო საკონსულტაციო ორგანოებიდან საბჭომდე, რომელსაც შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება მიმდინარე საკითხებზე.

4. *კულტურული შედეგების შეფასება*

ჩვეულებრივ, მიღებულია ადგილობრივი განვითარების გეგმის ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური შედეგების შეფასება, მაგრამ ძალიან იშვიათია, როდესაც განიხილება კულტურული შედეგები. მუხლი 25 „21-ე საუკუნის დავალება - კულტურაში“, მოუწოდებს გამოყენებულ იქნას ფორმა „კულტურული“ მემკვიდრეობის შეფასებისა“ იმ ინიციატივებისა, „რომლებიც იწვევენ მნიშვნელოვან ცვლილებებს ქალაქების კულტურულ ცხოვრებაში“. კულტურული მემკვიდრეობის შეფასება – ეს არის დოკუმენტი, რომელიც დამუშავებულია საზოგადოებრივობასთან და კულტურის წარმომადგენლებთან კონსულტაციების შედეგად და რომელიც განიხილავს იმ გავლენას (დადებითსა და უარყოფითს), რომელმაც შესაძლებელია იქონიოს ადგილობრივი განვითარების პროგრამამ ქალაქის კულტურულ ცხოვრებაზე. იმის გათვალისწინებით, თუ რა გავლენის მოხდენა შეუძლია ნებისმიერ პროგრამას კულტურულ ცხოვრებაზე, აქედან გამომდინარეობს დასკვნა: „კულტურული შედეგების შეფასებას“ უნდა მივაქციოთ ყურადღება ნებისმიერი პოლიტიკისა და პროგრამის შემუშავებისას.

3. ადგილობრივი / გლობალური პრობლემის გადაწყვეტა

უწინ კულტურის სფერო სარაღდებოდა გადამეტებული ლოკალიზაციისაგან (პროვინციალიზმისაგან), საერთაშორისო კრიტერიუმების არქონისაგან, რომელიც წარმოადგენდა თავისებურ სარკეს, რომელშიც ჩვენ შეიძლება „დაგვენახა“ ჩვენი ქალაქებისა და მხარეთა კულტურული დახასიათების ანარქელი, იმისათვის, რომ გაგვევო ჩვენი თვითმყოფადობა. გლობალიზაცია გეაიძულებს, ჩვენ გავაფაროთ მოქმედების სონა:

მაშინ, როცა ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული მიდგომა პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად ასევე გამოიყენება კულტურისათვის, იდეოსინკრეტული კონტექსტი მეორე პლანზე გადადის ადამიანის, განსასდერულ ტერიტორიაზე ყოველი მცხოვრების ღირსების მიმართ. როგორც წერენ არჯუნ აპადურაი და კატერინა სტენუ [Arjun Appadurai and Katerina Stenou, 2000], რაც შეეხება კულტურულ პლიურალიზმს, გლობალიზაციამ თან მოიტანა სამი დიდი პრობლემა მინც. მნიშვნელოვნად გასარდა დამაბულობა მიგრაციასა და მოქალაქეობას შორის. გაამწვაო იდენტურობის ნაციონალური პოლიტიკა და გააძლიერა არსებული ტენდეციები ნაციონალური „ქსენოფობიის მიმართ“ (იხ. ჩანართი გ).

ჩანართი გ გლობალიზაცია და პლიურალიზმი

2000 წლის იუნესკოს ანგარიშში მსოფლიო კულტურაზე წარმოდგენილია სტატია არჯუნ აპადურაის და კატერინა სტენუს მიერ: „მდგრადი პლიურალიზმი და მომავალი კუთვნილება“. ქვემოთ მოყვანილია ფრაგმენტები მე-2 თავიდან.

„ჯერ ერთი, მიგრაცია წარმოადგენს კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთ უძველეს თვისებას. მაგრამ სამიგრაციო პოლიტიკა შეიცვალა უახლესი იმპერიალისმის ეპოქაში, როდესაც რამდენიმე ევროპულმა ნაციონალურმა სახელმწიფომ დაიწყო დემოკრატიული პოლიტიკის გატარება თავის ქვეყნებში და იმპერიალისტურის - სასდვარგარეთ. გლობალიზაციის ეპოქაში ეს წინააღმდეგობრივობა ისე ძლიერდება. ხალხის გადასახლება ურთიერთმოქმედებს, ერთი მხრივ, გახსნილი

საზღვრების ახალ იდეოლოგიასთან და თავისუფალ ვაჭრობასთან, ხოლო, მეორე მხრივ – ეთნიკური ნაციონალიზმის ახალ ფორმებთან (...) სამუშაო ძალის ნაკადმა (მაღალი და დაბალი კვალიფიკაციის), შექმნა მთელი ახალი სამყარო მიგრანტებისა და არასრული მოქალაქეებისა (...) არასრული მოქალაქეები სვამენ კითხვებს მოქალაქეობის ეროვნულ და პოლიტიკურ ნორმებში უფლებების და მოვალეობათა გაურკვეველობაზე. გლობალიზაციის შედეგად სულ უფრო რთული ხდება მიგრანტების აღქმა, როგორც აბსოლუტურად უცხოებისა, არამოქალაქეებისა. ერთი შეხედვით, ეს ნიშნავდა, რომ იდეა „ხალხისა“ გარკვეული ისტორიული, კულტურული და ფიზიკური ნათესაობის მნიშვნელობით დგება ეჭვის ქვეშ, ხოლო ეროვნული მოქალაქეობის საზღვრები აღმოჩნდება რამდენადმე წაშლილი. მეორე მხრივ, კულტურული უმცირესობები – კერძოდ, ლტოლვილები, ჩამოსული მუშები და სხვანი თავის უფლებებში შესუსტებული ჯგუფები – იღებენ სულ უფრო მეტ შესაძლებლობას, საჯაროდ განაცხადონ ნაციონალურ და საერთაშორისო სასამართლოებში თავიანთ კულტურულ უფლებებზე, როგორც ადამიანის უფლებებზე. (...) გლობალიზაცია ორმაგად ახდენს გავლენას დისკუსიაზე მოქალაქეობის შესახებ: როგორც ეკონომიკური ძალა, რომელიც სტიმულირებს ეკონომიკურ მიგრაციას და როგორც სწრაფად გამაერცყლებელი არხი დებატებისა „ადამიანის უფლებებზე“ ნაციონალურ და კულტურულ კონტექსტებში.

ეველაფერ ამას მიეყვართ მესამე პრობლემამდე კულტურული პლიურალიზმის გლობალიზაციის საკითხებამდე, სახელდობრ – ქსენოფობიის პრობლემამდე. როდესაც მიგრანტების ჯგუფები, გლობალიზაციის ძალებით ჩათრეულნი და ჩაბმულნი ახალ ეროვნულ სასოგადოებაში, მოითხოვენ დაკმაყოფილებას უფრო მეტად ფართო კულტურული მოთხოვნილებებისა კულტურულ უფლებებზე დაყრდნობით, ისინი უპირისპირდებიან ცნობილ ნაციონალურ მსოფლმხედველობათა საფუძველს (...) ეველგან, მთელ მსოფლიოში, დაეს ნეენ ვხედვით სასოგადოებებს, სადაც მიგრანტების რამდენიმე თაობას უხდება დეპაბულობის გადალახვა ახალ სამშობლოსა და თავისი წარმოშობისა და მოგონებების ქვეყნებს შორის (...)

საუკუნეთა განმავლობაში „კულტურის“ ცნების სემანტიკა გაფართოვდა. თავდაპირველი მნიშვნელობა იყო „დინამიური“ და ეტიმოლოგიურად ცალკეული ინდივიდის „კულტივაციისაგან“ იყო წარმოქმნილი. მე-19-20 საუკუნეებში უპირატესობა მიენიჭა ცნებას, რომელიც ჩამოყალიბებული იყო „აბსოლუტური და მკვეთრად გამიჯნული“ ცოდნის სისტემებით (კრეკენი 2002, 54), როდესაც მთავარ საგნად იქცა სასოგადოება (ან ერი); ეს ცნებები, რომელიც თავს მოხვეულია ან, უკეთეს შემთხვევაში, შუთავასებულია ყოველი ეკონომიკური ან პოლიტიკური ცენტრების მიერ საკუთარი პროვინციებისათვის, აყალიბებდნენ ერთგვაროვნებას. 21-ე საუკუნის დასაწყისში შეინიშნება, თითქოს, დაბრუნება „კულტურის“ თავდაპირველი მნიშვნელობის ცნებასთან, როგორც ფუნქციონალურ პროცესთან, რომლის საგანი ისევე ცალკეული ადამიანი ხდება, რასაკვირველია, გლობალიზაცია გაელენას ახენს ტერიტორიული კულტურული იდენტურობის სტრუქტურაზე, ანუ, ისტორიულ კავშირებზე ადგილობრივსა და გლობალურს შორის, ამცირებს ხელისუფლების ტრადიციული ცენტრების შესაძლებლობებს მოახვიოს მათ თავისი მსოფლმხედველობა, რომელიც იხრება პომოგენურობისაკენ. დღეს ბევრი საუბრობს ტერიტორიული იდენტურობის გადაკეთათა თავსებადობაზე, ამტკიცებენ, რომ ადამიანის შემოქმედება მრავლდება ახალი ფორმებით, თვითგამოხატვის დროებითი ფორმები არსებობენ სქესისა და ასაკის საფუძველზე. რაჯ ისარმა [Raj Isar, 2005] არც თუ ისე დიდი ხნის წინ დაასაბუთა აუცილებლობა, ყოველი ტერიტორიის კულტურული მრავალფეროვნება გახედეს ხილვადი, პოლიტიკის შექმნა სხვათა შეცნობით, ისეთი მთავარი არგუმენტის დახმარებით, როგორიცაა: „კულტურები იკვებებიან. ფუძემდებლური იდეები შეიძლება მრავალჯერ განმეორდეს სხვადასხვა კულტურაში, რამდენადაც ყველა ისინი წარმოიქმნებიან ნაწილობრივ საერთო ფესვიდან, საფუძვლად მათ უდევთ ადამიანთა მსგავსი გამოცდილება და ისტორიის განმავლობაში ისინი ერთმანეთისაგან სწავლობდნენ და ბევრ რამესაც იღებდნენ ერთმანეთისაგან. სხვა სიტყვებით, კულტურებს შორის არ არის მკვეთრად დადგენილი სასღვრები. მაგრამ არც ურთიერთთანხმობაა რელიგიურ, ეთიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებში, არც ადამიანის არსებობის სხვა ასპექტებში.“ რაჯ ისარის ასრით, დავალება მდგომარეობს იმაში, რომ აღვიკვთო „ჩვენი“ კულტურა როგორც „მოდრავი და გახსნილი და არა როგორც უძრავი და ფუნდამენტალური“.

ასეთი აზრები აწეობს ქალაქებს, რამდენადმე ნაკლებად – სახელმწიფოებს და ერებს. ადგილობრივი დონე მიიღტვის და გრძნობს აუცილებლობას დისტანცირებისათვის სტანდარტიზირებული და „იდენტიზირებული“ იმპერატივისაგან, რომელიც ახასიათებს თანამედროვე სახელმწიფოთა უმრავლესობას. თანამედროვე ქალაქები – ეს არის სივრცე, რომელშიც გლობალიზაცია ხდება ხილული და გასაგები. ძირითადი კარტოგრაფიული პროცესები ქალაქებისა ძალიან მსგავსია, რაც აძლევს მათ უფლებას, იმოქმედონ თანამედროვე მსოფლიოში, უნივერსალური ფორმულის: „იფიქრე გლობალურად, იმოქმედე ლოკალურად“ – გამოყენებითაც და „დივერსიფიკაციური“ დამატებითაც: „იფიქრე ლოკალურად, იმოქმედე გლობალურად“.

საჭიროა გავითვალისწინოთ ქალაქებისა და მსარდი მნიშვნელობის ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების პოლიტიკური გავლენა. ძალიან დიდი ხანი ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები არ ითვლებოდნენ მნიშვნელოვან სუბიექტებად, ნაციონალური ან საერთაშორისო დონის მართველობად (მაგალითად, ქალაქებთან არ თათბირობდნენ, ახალი სახელმწიფო კანონის დამუშავებისას, რომელიც ეხებოდა ძირითადად მათ უფლებამოსილებას, ხოლო საერთაშორისო ორგანოებში ქალაქის მონაწილეობა რჩებოდა არასამთავრობო ორგანიზაციების დონეზე). XX საუკუნის პირველი ათწლეულების განმავლობაში და განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ქალაქებმა სულ უფრო აქტიურად დაიწყეს გამოსვლა საერთაშორისო დონეზე, ადგილობრივი პოლიტიკისა და მართვის საუკეთესო პრაქტიკებით, ხელს უწყობდნენ დეცენტრალიზაციისა და მუნიციპალური ავტონომიის განვითარებას, დაამოზღვრეს ქალაქების თანამშრომლობის წარმოებაში და სამშვიდობო და სხვა ინიციატივებით (ადგილობრივი დიპლომატია), განვითარების გეგმების დამუშავებით (დეცენტრალიზებული თანამშრომლობა). ბოლო დროს შესაძლებელი გახდა მიგვეღწია ქალაქთა კანონიერებისა და უფლებების თანდათანობით დაკმაყოფილებისათვის, განსაკუთრებით მათი თვითმართველობის დემოკრატიული ორგანოების, მონაწილეობის მიღებით საერთაშორისო პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ამ უფლებების აღიარება დღეს წარმოადგენს საერთაშორისო უზთიერთობების დემოკრატიზაციის პირობას და აუცილებელ ფაქტორს მოლაპარაკებათა და საერთაშორისო კონფერენციების პროგრამების და სტრუქტურების ეფექტურობისა (ბორჯა და კასტელსი. [Borja and Castelles] 1997, 374). მე-20 საუკუნის ბოლოს ქალაქებმა მიადწიეს საკუთარ ადგილს საერთაშორისო

არენაზე. მსოფლიო მუნიციპალიტეტების უნიციკაცია (გაერთიანებული ქალაქები და ადგილობრივი თვითმართელობის ორგანოები) 2004 წლის მასში უდავოდ იქცა თავისებურ გარდატეხად ამ გზაზე. გაეროს უახლესი მრავალი ანგარიშიდან ისეუ და ისეუ ყურადღების გამახვილება ხდება აუცილებლობაზე, რათა სახელმწიფოებმა, საერთაშორისო და სახელმწიფოთაშორისო ორგანოებმა ყური დაუგდონ ქალაქების მოთხოვნებს და იმუშაონ მათთან ერთად, მათი სტრატეგიების რეალიზაციაზე, რამდენადაც საქალაქო ხელისუფლება ექვლასე ახლოს დგას მოქალაქეებთან, დემოკრატიულ ინსტიტუტებთან. გაეიხსენოთ, თუნდაც ანგარიში გაეროს ურთიერთობაზე და სამოქალაქო სასოგადოებას შორის, ცნობილი, როგორც კარდოსოს ანგარიში [Cardoso Report, 2004]¹⁵ ანდა უახლოესი ანგარიში, მიმსაღებელი ჯეფრი საჩის მიერ [Jeffrey Sachs, 2005],¹⁶ ათასწლეულის განვითარების მიზნებზე და მსოფლიოს ბრძოლა სიღარიბის წინააღმდეგ. ეს ანგარიშები აღიარებენ, რომ ქალაქების და ადგილობრივი თვითმართელობის ორგანოების ერთ-ერთი მთავარი როლთაგანი მდგომარეობს იმაში, რომ ისინი დემოკრატიზაციისა და ეფექტურობის შემაღლებელ ნაწილს წარმოადგენენ იმით, რომ არ გამოსახავენ სწრაფვას ტოტალიტარული იდეოლოგიისკენ და ერთგვაროვნებისკენ, რომელიც ახასიათებს თანამედროვე სახელმწიფოების უმრავლესობას, ქალაქებში საგზაო რუკები მილიანობაში ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ქალაქების მთავარი საზრუნავი დაკავშირებულია თანაარსებობასთან, მხიარულ განწყობასთან და შემოქმედებითი ნიჭის განვითარებასთან თავის ტერიტორიებზე. ქალაქების და ადგილობრივი თვითმართელობის ორგანოებს ესმით, რომ დემოკრატიისა და კეთილდღეობის მომავალი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საჯარო სივრცისა და სასოგადოებრივი სფეროს არსებობაზე და აგრეთვე მოქალაქეებისა და მუდმივი მცხოვრებლების შესაძლებლობებზე „მიიღონ მონაწილეობა“. კულტურული ცხოვრება – ეს გახლავთ ერთ-ერთი ძირითადი სასოგადოებრივი სფერო. მონაწილეობა უპირატესად ხდება უახლოეს გარემოში, მოედნებზე და ქუჩებში თავის რაიონებში ან ქალაქებში ადგილობრივი და გლობალური განვითარებების, მეხსიერებისა და ინოვაციის გაერთიანებით, დაძაბულ შემოქმედებით დისკუსიაში, რომელიც შეიძლება აგრეთვე მოინათლოს, როგორც „ადგილობრივი“ კულტურათშორისო დიალოგი.

¹⁵ www.un.org/dpi/ingosection/cardoso.html

¹⁶ www.org/millenniumgoals

4. მრავალფეროვნება განვითარებაში

პრობლემა „გლობალური-გლობალური“ არსებობს ყოველ ქალაქში, თანაც ის ორმხრივია: ეს არის გარეგნულიც „გარეული ცხენი“ – ანუ „კონკურენტუნარიანობის პრობლემა“ გლობალურ ეკონომიკაში და შიდა ხის (ტროას) ცხენი, ანუ კულტურული მრავალფეროვნება, რომელიც იზრდება მიგრაციისა და მობილურობის წყალობით და სასრდოობს კომუნიკაციების ახალი საშუალებებით. შიდა მრავალფეროვნების გამოყენება აქტივის სახით, როგორც პასუხი გლობალიზაციის გამოწვევაზე, ალბათ, წარმოადგენს თავად პასუხს... მაგრამ იმისათვის, რომ ასეთი პასუხი გადაიქცეს ცენტრალურ ტენდეციად, საჭიროა დრო, რადგანაც ამას მიეყვართ ეროვნული იდენტურობის წარმოდგენის გადახედვამდე, ხოლო კონტინენტური (ნვენ შემთხვევაში ევროპული) ისტორიები ჯერ კიდევ არ არის მზად ასეთი დისკურსისათვის.

„კულტურული მრავალფეროვნება“ კულტურული პოლიტიკის ახალი პარადიგმის მთავარი კომპონენტია, რაც საკვანძო სიტყვის სახით გაჩნდა საერთაშორისო დისკუსიებში კულტურის შესახებ 1990-იანი წლების ბოლოს. იუნესკოს დეკლარაციის (2001) და იუნესკოს კონვენციის (2005) მიღება კულტურულ მრავალფეროვნებაზე გახდა მამოძრავებელი ძალა თანამედროვე მრავალფეროვნებაში. რეაქცია კულტურული მრავალფეროვნების გამოწვევაზე დისკუსიებში ქალაქის პოლიტიკაზე მთლიანობაში დადებითია, მაგრამ არ შეიძლება ამასთან დაკავშირებით სირთულეების გაუთვალისწინებლობა.

კულტურული მრავალფეროვნება დღემდე რჩება ძალიან რთულ ცნებად, რამაც შეიძლება მიგვიყვანოს არასწორ გაგებამდე.

სიმართლე რომ ვთქვათ, კულტურული მრავალფეროვნების ცნება დამოკიდებულია პირობებზე, რომელიც არც თუ ისე ერთგვაროვანია ისტორია, გეოგრაფია, მოსახლეობის დახასიათება და სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობა და სხვა დანარჩენ ფაქტორებთან ერთად, სხვადასხვა ქალაქებში. ამის გარდა, ქალაქებს სხვადასხვა უწყლებამოსილება გააჩნიათ, ანუ, ადგილი ნაციონალურ ანდა რეგიონალურ საკანონმდებლო სივრცეში. ნაციონალური სახელმწიფოს ფუნქციონალურ კონცეფციას (უნიტარული, დეცენტრალიზებული ან ფედერალური) და აგრეთვე ნაციონალური პოლიტიკის განსაზღვრას კულტურული მრავალფეროვნების ამღიარებელი, დამცველი ან განმავითარებელი კანონები და დებულებები გააჩნიათ. ადგილობრივი

კულტურული პოლიტიკისათვის პირველ ხარისხოვანი მნიშვნელობისა, თუ რამდენად ანიჭებენ ისინი უფლებამოსილებას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, რათა გაატარონ კულტურული მრავალფეროვნების მხარდასაჭერი პოლიტიკა. ზოგიერთი ეროვნული სახელმწიფო ზღუდავს ან აჩერებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შესაძლებლობებს, განავითარონ ასეთი პოლიტიკა. 2004 წლის გაეროს განვითარების პროგრამის ანგარიშში „ადამიანის განვითარებაზე“ *კულტურული თავისუფლება თანამედროვე მრავალფეროვან სამყაროში*,¹⁷ დაუნიშნული რეკომენდაციაა: „აღიარებულ იქნას განსხვავებულობა, დაიცვან მრავალფეროვნება და ხელი შეუწყონ კულტურულ თავისუფლებას იმისათვის, რომ თითოეულ ადამიანს შეეძლოს არჩევის გაკეთება, თუ რომელ ენაზე ილაპარაკოს, რომელი რელიგია აღიაროს და აგრეთვე მიიღოს მონაწილეობა კულტურის ფორმირებაში, გააკეთოს არჩევანი, როგორები უნდა ვიყოთ ჩვენ“.

ამასთან ერთად არ სეზობს აუცილებლობა კულტურული მრავალფეროვნების მრავალი მნიშვნელობის კლასიფიკაციისა. ინსტიტუტი ERI-Carts კულტურისა და ხელოვნების შედარებითი კვლევის ევროპული ინსტიტუტია, „რომელიც აგროებს ინფორმაციას და მონაცემებს იმის შესახებ, თუ როგორი ინტერპრეტაცია კეთდება კულტურული მრავალფეროვნების კონცეფციებში და ნაციონალური კულტურის პოლიტიკის სისტემებში ევროპულ ქვეყნებში,“ კონსტატირებას აკეთებს, რომ „კულტურულ მრავალფეროვნებას განსაზღვრავენ ასე:

– მხატვრული და კულტურული შინაარსის შემცველი მრავალფეროვნება, რომელიც ხელმისაწვდომია მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფისათვის მასობრივი კომუნიკაციების ან გაერცვლების სხვა წყაროთა საშუალებებით;

– მოთაბა შეთა მრავალფეროვნება, რომლებიც ჩაბმულნი არიან პოლიტიკური გადაწყვეტილებების, კანონმდებლობის რეგულირების პროცესებში ანდა შემოქმედ პიროვნებათა მოღვაწეობის დაფინანსებაში;

– პლიურალური ეთნო-კულტურული იდენტურობა და შემოქმედთა პროდუსირების, დისტრიბუტორების და მაყურებლის წარმოქმნა.

ამას შეიძლება დავარქვათ კულტურული მრავალფეროვნების სამი შუქურა (მართალია, პირველი ზონის ანარეკლი ზოგიერთ რამეში გადაიკვეთება ორ დანარჩენ ზონასთან, მაგრამ, როგორც ჩანს, გაგება იმისა, რომ ეთნიკური

¹⁷ <http://unpan1.un.org/intradoc/groups/public/documents/unss/unpan021953.pdf>

მრავალფეროვნება წარმოადგენს კულტურული მრავალფეროვნების მამოძრავებელ ძალას, გვაიძულებს ჩვენ მის ცალკე იდენტიფიცირებას).

თაეის ანგარიშში „ადგილობრივი პოლიტიკა კულტურული მრავალფეროვნების მხარდასაჭერად“ UCLG-ის სამუშაო ჯგუფმა კულტურის საკითხებში გამოიყენა ძალიან მსგავსი სქემა ქალაქების მიერ კულტურული მრავალფეროვნების გაგების ფორმების კლასიფიკაციისა. იხ. ჩანართი დ.

ჩანართი დ

ადგილობრივი პოლიტიკა კულტურული მრავალფეროვნების მხარდასაჭერად

თაეის ანგარიშში: „ადგილობრივი პოლიტიკა კულტურული მრავალფეროვნების მხარდასაჭერად“ UCLG სამუშაო ჯგუფმა კულტურის საკითხებში ქალაქების მიერ კულტურული მრავალფეროვნების გაგების კლასიფიცირება შემდეგნაირად მოახდინა, განსაზღვრა გაგების სამი ძირითადი „შუქურა“:

„კულტურული მრავალფეროვნება“ – კულტურის მუნიციპალური სამართველობის შეხედულებების მიხედვით დამოკიდებულია „ზომებს“ (ქალაქებმა გააანალიზეს თანაფარდობა ზომებში კულტურულ სუბიექტებს შორის მცირედან დიდამდე) და სუბსექტორებზე (კულტურული მემკვიდრეობიდან თანამედროვე ხელოვნებამდე). რაც შეეხება ზომებს, ქალაქების უმრავლესობა დაეთანხმნენ, რომ კულტურული ცხოვრების საფუძვლად დევს „დინამიკური სისტემა“, რომელშიც მცირე ადგილობრივი ინიციატივები ხშირად არ არის დაკავშირებული ორგანიზაციებთან, თანაარსებობენ რა დიდ პროექტებთან, რომელიც მიმართულია საერთაშორისო პრესტიჟის მოსაპოვებლად ანდა ისახავენ წმინდა კომერციულ მიზნებს, ეს შეიძლება დავახასიათოთ, როგორც ქალაქის „კულტურული ეკოლოგია“. სუბსექტორების მხრივ, მიუხედავად განსხვავებისა კულტურულ რესურსებში ქალაქებს შორის, მაინც წარმოდგენილია ადგილობრივ კულტურის პოლიტიკაში, კულტურის სამი ძირითადი სუბსექტორი: კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა, ბიბლიოთეკები და ხელოვნება. გაზრდილმა ყურადღებამ, რომელიც ბოლო ხანებში ეთმობა ადგილობრივ იდენტურობას და კულტურულ მრავალფეროვნებას, აიძულა ქალაქები, მიემართათ „ტრადიციული კულტურისათვის“, რომელიც

ხშირად განიხილებოდა, როგორც ქალაქური, რეგიონალური ან ნაციონალური ფოლკლორი. ახალმა მედიამ, ინფორმაციულმა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა (ICT) ასევე შექმნეს ახალი სუბსექტორები, ანუ თავისებური ტრანსვერსალური განხორციელება ადგილობრივი კულტურის პოლიტიკისა, რომელმაც გამოიწვია ახალგაზრდობის ცხოველი ინტერესი.

– მრავალფეროვან მოთამაშეთა (სახელმწიფო, არასამთავრობო და კერძო სექტორები) ჩართვა ადგილობრივ კულტურის სისტემაში. თუ მრავალმა ქალაქმა, რომელმაც გაიარა გ'სა კულტურული მომსახურების უშუალო შეთავაზებიდან ინსტანციების უფლებამოსილებამდე ურთიერთკავშირებამდე, როდესაც სახელმწიფო ადმინისტრაციები, იტოვებდნენ რა თავის კომპენტენციაში საბაზო კულტურულ მომსახურებას, ავითარებენ პარტნიორობას კერძო და სასოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რასაც მივეყვართ ახალი ორგანოების ინსტანციების შექმნისაკენ, რითაც კულტურის პოლიტიკის მართვა უფრო მეტად ეფექტური გახდება. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების მონაწილეობა იძლევა გარანტიას იმისა, რომ კულტურის პოლიტიკას ამუშავებს, აკონტროლებს და აფასებს დამოუკიდებელი ორგანო, მაგალითად, ადგილობრივი კულტურის საბჭო. როგორც ჩანს (ჯერჯერობით) გუნდურულმა საკითხებმა ვერ მოიპოვეს ისეთივე ადგილი კულტურაში, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის სხვა სფეროებში.

– და ბოლოს, „კულტურის მრავალფეროვნების კონცეფციის გამოჩენა, რომლის აღქმაც ხდება ანთროპოლოგიურ ეთნიკურ ასპექტში, ზეგავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ დაუჭერენ მხარს ადგილობრივ კულტურას ქალაქები – უფრო მეტად ყურადღება ეთმობა ქალაქების კულტურულ ეკო-სისტემაში „უმცირესობების“ არსებობას, ქალაქები მიისწრაფიან იპოვონ წონასწორობა „ძირეული კულტურის“, თუ კი ასეთი არსებობენ და ან ასეთებად არიან აღიარებულნი ქალაქში, „ნაციონალური კულტურის“ წარმომადგენლებს და იმიგრაციის შედეგად მიღებულ პირდაპირ ან არაპირდაპირ პროდუქტებს შორის. ასეთი შეხედულება კულტურის მრავალფეროვნებაზე ძალიან მართებულია, რადგანაც გამოყენებული ტერმინები არ აკმაყოფილებს ყველა სუბიექტს და

ადგილზე აჩერებენ დინამიკურ რეალობას: ურბანულ კულტურას. ზოგიერთ ქალაქებში სიტყვის თავისუფლების არ არსებობას, უფრო ფართოდ – დემოკრატიისა, მიყვართ იმასთან, რომ კულტურული წარმოება ხელს არ უწყობს გაგრძელებას (შენარჩუნებას ან წინსვლას) ორიგინალურ ბირეულ თავდაპირველ კულტურებს, რომელიც წარმოიშვა ამ ტერიტორიაზე და აფერხებს განვითარებაში (როგორც ნათქვამია „21-ე საუკუნის დავალება – კულტურაში“) „ავტოხთონური ადგილობრივი კულტურები, რომელიც მატარებელია ისტორიული და უკუ კავშირისა გარკვეულ ადგილთან“. სხვა ქალაქებში შესაძლებელია სიტუაციები, როდესაც ახალი მოქალაქეები, იმიგრაციული პროცესებისა პირდაპირი და არაპირდაპირი პროდუქტები, რომლებიც ინარჩუნებენ თავის კულტურულ ფესვებს სხვა ადგილებში, ჯერ იღებენ აღიარებას, როგორც „კულტურული მოქალაქეები“, რაც ნიშნავს იმას, რომ კულტურული მრავალფეროვნება მათი შემოტანილი არ ფორმალისდება ოფიციალური დისკურსის გზით და /ანდა გამოიტანება მარგინალური დემოკრატიული ადმინისტრირებით და დაფინანსების მექანიზმებით. იმ ევროპულ ქალაქებს, რომლებმაც ბოლო დროს დაიწყეს კულტურის არეალის განსაზღვრა და დაგეგმვა, მოუხდათ შეჯახება კულტურული მრავალფეროვნების პარადიგმასთან. ქალაქებს უფრო უკეთესად, ვიდრე ნაციონალურ სახელმწიფოებს, შეუძლიათ გაითვალისწინონ კულტურული მრავალფეროვნების პრობლემა თავის პოლიტიკაში. თუ გადავხედავთ კულტურული მრავალფეროვნების ისტორიას, მაშინ ყველა ქალაქმა თავის დროზე შეასრულეს (და დღესაც ასრულებენ) კულტურათაშორისო ურთიერთქმედება / შეჯამება. ქალაქები – ის პუნქტებია, სადაც ერთმანეთს ხედებიან სხვადასხვა წარმომავლობის ადამიანები, ურთიერთობენ ერთმანეთთან და ქმნიან კულტურული თვითგამოხატვის ახალ ფორმებს. შეიძლება ითქვას, რომ კულტურათაშორისო ურთიერთქმედება და კულტურების შეჯვარება დღეს წარმოადგენს უმეტესი ქალაქების პასუხს (ადგილობრივი) კულტურული მრავალფეროვნების პრობლემებზე.

დაწერილებით ანგარიშზე აადგილობრივი პოლიტიკა კულტურული მრავალფეროვნების მხარდასაჭერად“ წაითხოვეთ გვერდზე www.agenda21culture.net.

საჭიროა აღინიშნოს, – წერს კოლინ მერსერი [Colin Mercer, 2006 a, 1], – რომ „მრავალფეროვნება – ეს კულტურის წარმომქმნელი ფაქტორია, და არა რაიმე დანამატი კულტურაში. მიუხედავად ნაციონალურ კულტურათა ტენდენციისა პომოგენიზაციისაკენ უახლოეს დროში, განსაკუთრებით კი მეთურამეტე საუკუნის ბოლოსა და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, ევროპასა და მსოფლიოში, ისტორია და თანამედროვეობა მოწმობს, რომ ყველა კულტურა მრავალფეროვანი და პიბრიდულია თავისი არსით, თითქოსდა, რეტროსპექტიულად მათ არ ქმნიდნენ და არ წარმოადგენდნენ ნაციონალური სახელმწიფოები და მისი მოქალაქეები. ალბათ, ეს წარმოადგენს ისეთი გაგების გარდაქმნის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას, როგორც არის „კულტურული მრავალფეროვნება კულტურული პოლიტიკის რეალურ პარადიგმაში: როგორც ესმით (უნდა ესმოდეთ) მრავალფეროვნება და ლეგიტიმიზაციას ახდენდნენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, როგორც საზოგადოების კონსტრუქციული საფუძვლისა. კოლექტიური იდენტურობის დამუშავება/შექმნის ამოცანა თვითმართველობის ადგილობრივი ორგანოებისათვის იოლი არაა (თუმცა, რასაკვირველია, ეროვნული სახელმწიფოებისთვის შეუდარებლად უფრო რთულია). ქალაქებს არ შეუძლიათ ჩაატარონ მიზნამიმართული დისკურსი თავისი მცხოვრებლების „კულტურულ ინდენტურობაზე. ქალაქები – ეს არის მუდმივი დანიშნულების პუნქტი იმიგრანტებისათვის, რომლებიც რამდენიმე წლის შემდეგ იღებენ ცხოვრების უფლებას და მოქალაქეობას. გასაგებია, რომ ქალაქების იდენტურობა დინამიკურია, ამ ფაქტს ოფიციალური დისკურსიც აღიარებს. აპადურაი და სტენუ წერენ: „ლოიალობისა და ერთგულების საკითხები ადამიანებისა, რომლებიც ცხოვრობენ ცალკე ნაციონალურ ტერიტორიებზე, უნდა გამოვეყთ იმ საკითხებიდან, რომელიც ეხება მათ უფლებებს, როგორც მოქალაქეებს“. კაცობრიობას სჭირდება წარმატებული პოლიტიკური კონსტრუქციები ასეთი გამიჯვნისათვის და ევროპას შეუძლია ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი ამ პროცესში კოლექტიური იდენტურობის დამუშავებისათვის/ შექმნისათვის. მაგრამ ამას ესაჭიროება დიდი დრო

5. პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის მნიშვნელობა

კულტურული მონაწილეობა შეიძლება განვიხილოთ სხვადასხვანაირად. ქვემოთ წარმოდგენილია პოლიტიკის დაგეგმვასა და დამუშავებაში კულტურული მონაწილეობის როგორც მოქალაქეების და სამოქალაქო საზოგადოების მიზიდვის სწორი გაგება, ინტერპრეტირების გარეშე საკითხი კულტურული მონაწილეობისა, ორგანიზებული სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მოზიდვის მნიშვნელობით კულტურულ წარმოებასთან, მოსახლეობის კულტურულ ღონისძიებებზე დასწრებით ანდა სულაც ყოველდღიური კულტურული ან საზოგადოებრივი მოღვაწეობით.

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში პოლიტიკის ფორმირებაში მოქალაქეებისა და სამოქალაქო საზოგადოების მიზიდვის დონე გაიზარდა. ცალმხრივი პოლიტიკა, როგორც მოვლენა, თანდათანობით წარსულს ბარდება მოქალაქეების მონაწილეობა პოლიტიკის ფორმირებაში, რეალიზაციაში და შეფასებაში უკვე წარმოადგენს არა შესაძლებლობას, არამედ განვითარებული დემოკრატიის დამახასიათებელ ნიშანს. დემოკრატიას საფუძველად უდევს ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების არსებობა, რომელიც განსხვავდება ადამიანურ სოლიდარობაზე სრუნხით.

სამოქალაქო საზოგადოება ეჭვგარეშე გვევლინება მსოფლიო ლიდერად ცალკეულ საკითხებში, როგორცაა: დახმარება განვითარებაში, მდგრადი განვითარება და ადამიანის უფლებები. პოლიტიკური მოხსენებები, კამპანიები, სხვა ისეთი ორგანიზაციების ანგარიშებიც კი, როგორც არის ოქსფემი, გრინფისი, „ექიმები სასღერებს გარეშე“, „საერთაშორისო ამინისტია“ საფუძველად ჩადებულია საერთაშორისო ორგანიზაციების, სახელმწიფო ინსტიტუტებისა და კერძო კომპანიების სამოქმედო პროგრამებში. ახალი საზოგადოებრივი მოძრაობების განვითარება, რომლებიც მოითხოვენ დემოკრატიას, საზოგადოებრივების უფრო ფართო მონაწილეობით (მონაწილეობითი დემოკრატია), არის პასუხი გარკვეულ დადღილობაზე პოლიტიკური რეჟიმებისაგან, ძირითადად განსაკუთრებით ფორმალური არჩევნების დროს და/ან ინფორმაციის მასობრივი საშუალებების მონოპოლური პატრონტაჟით. მსოფლიო სოციალური ფორუმის შეკრების შექმნით გამოწვეული წარმატება შეიძლება განვიხილოთ 2001 წელს პორტო – ალვარეში, როგორც საზოგადოებრივობის პასუხი განვითარების სუფთა ეკონომიკურ გლობალიზაციაზე, რაც ხელს უშლის განვითარებას და ორიენტირებულია

ადამიანის უფლებებზე. სამოქალაქო საზოგადოება საერთაშორისო დონეზე ერთიანდება სხვადასხვა ქსელის დახმარებით, ისეთები, როგორც: ახალი პლატფორმები ურთიერთობისათვის, კოორდინაციისთვის, კოპერირებისათვის და სხვადასხვა დარგში განვითარებისათვის. კულტურა ჯერ კიდევ არ არის მტკიცედ (მაგრად) გაერთიანებული გლობალურ დონეზე, თუმცა კულტურის მსოფლიო ფორუმი¹¹ შეიძლება განვიხილოთ, როგორც უმნიშვნელოვანესი საფუძველი ასეთი გაერთიანებისა. ევროპულ დონეზე მიღწევები მეტად საგრძნობია გაფართოების არსებითი სახით ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, საერთაშორისო თანამშრომლობით კულტურის სფეროში და პარტნიორობა ისეთი ორგანიზაციების წყალობით, როგორც არის ხელოვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის ევროპული ფორუმი – EFAN და ევროპის კულტურის ფონდი – ECF, რომლებიც ახმოვანებენ სამოქალაქო საზოგადოებას ევროპის აღმშენებლობაში, როგორც თავისებური კულტურული პროდუქტის რეალიზირება.

ულრიხ ბეკი [Ulrich Beck, 1994] მიუთითებს საზოგადოებრივობის მონაწილეობის განვითარების აუცილებლობაზე ადგილობრივ კულტურულ სფეროში მონაწილეობითი ტექნოლოგიების დახმარებით, თუ საჭიროა ექსპერტების როლის შეზღუდვითაც და საზოგადოებრივობისა და მოქალაქეების მიზიდვით, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული მიმდინარე პრობლემებთან. შალინი ვენტურელის [Shalini Venturelli, 2003] აწუხებს დღევანდელი კულტურის პოლიტიკის ფუნდამენტალური საკითხები: „მაგრამ ნებისმიერი კულტურის უმნიშვნელოვანესი პრობლემა – ეს მისი წარსული კი არ არის, არამედ გამომგონებლობის და შემოქმედების თანამედროვე უნარი. სინამდვილეში იმდენად მნიშვნელოვანი არ არის ერთი მუჭა გიგანტების, რომლებიც მოღვაწეობდნენ ხელოვნების ისტორიაში (ესთეტიკური მოთხოვნა კულტურისადმი), კულტურული მოღვაწეობის არსებითი ხარისხი (ანთროპოლოგიური მოთხოვნა) ანდა კულტურული მასობრივი მოხმარების პროდუქტების ბაზრების ზომები (სამრეწველო მოთხოვნა). პირიქით, დღეს ძირითადი პრობლემა ეხება შესაძლებლობებს, რომელიც არსებობს საზოგადოებაში ადამიანთა უმრავლესობისათვის, მიიღონ მონაწილეობა ახალი კულტურული ფორმების შექმნაში. ანუ, ყველაზე ხელსაყრელი პირობებით თვითმყოფადობისა და სინთეზისა საზოგადოებრივი მონაწილეობის საზომისა ახალი იდეების ჩამოყალიბებისათვის წარმოადგენს კულტურის სიცოცხლისუნარიანობის ნამდვილ შემმოწმებელს და ერთადერთ საფუძველს

¹¹ www.forumculturalmundial.org

საზოგადოებრივი პოლიტიკისა“. კაუფმანი და რაუნიგი [Kaufmann and Raunig, 2002] ეარაოდობენ, რომ „გამჭვირვებლობის კრიტერიუმები და მონაწილეობა დარჩება ცარიელ ხმაურად, თუკი არ იქნებიან ერთმანეთთან ურთიერთკავშირში. (...) მექანიზმი, რომელსაც შეუძლია გამჭვირვებლობა გახადოს ეფექტური, ერთსულოვნება ან უმრავლესობა კი არ არის საარჩევნო სისტემაში, არამედ შეძლებისდაგვარად ადამიანების დიდი რაოდენობის აქტივიზაცია“ და სახელმწიფო საქმიანობის ცალკეული სფეროების“. დემოკრატიული სისტემების ერთ-ერთი მთავარი პრობლემათაგანი არის საკითხი, თუ როგორ გაეხადოს ხილვადი და მოვახდინოს ფორმალისება მოქალაქეთა წარმოსახვითი და თხრობითი აზროვნების შექმნისა და აღდგენის პროცესისა. 2001 წელს ევროპის კომისიის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში *ევროპული მართვა. თეორი წიგნი* [European Governance. A White Paper] მართვა განისაზღვრება, როგორც „წესები, პროცესები და ქცევა, რომლებიც გაელენას ახდენენ ევროპულ დონეზე მბრძანებლური უფლებამოსილების შესრულების შესაძლებლობაზე, კერძოდ კი, ეს არის გახსნილობა, მონაწილეობა, ანგარიშვალდებულება, ეფექტურობა და თანმიმდევრულობა“. მნიშვნელოვანია ხაზი გაუსვათ, რომ ეს ხუთი პრინციპი ერთმანეთთან ურთიერთკავშირშია და შესაძლებელია მათი გამოყენება ძალაუფლების ყველა დონეზე.

მონაწილეობა არ შეიძლება, შეზღუდულად გამოვიყენოთ მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო ადმინისტრირებისათვის. ეს მოვლენა ვრცელდება ასევე სოციოლოგიაზე და კორპორატიულ მენეჯმენტზე. მაგალითად, როგორც წერენ: პინდადო, რებოლიო და მარტი [Pindado, Rebollo and Marti, 2002, 17] ბოლო წლებში კერძო კომპანიებიც, სახელმწიფო ადმინისტრაციებიც და საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც სულ უფრო მეტად არიან დაინტერესებული მონაწილეობის გაფართოების პრაქტიკის წახალისებით. ამასთანავე კერძო კომპანიებმა პირველებმა დაიწყეს ისეთი განსაზღვრების გამოყენება, როგორიცაა: სამუშაო ჯგუფები, ხარისხის წრეები და მისი მსგავსი, გახდა საყოველთაოდ ცნობილი. (...) ბოლო დროს ზოგიერთმა სახელმწიფო ადმინისტრაციამ, განსაკუთრებით საბჭოებმა, გააფართოეს საზოგადოებრიობის მონაწილეობა ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ფორმით: ეს არის ფორუმები ანდა კრებები პროექტების ერთობლივად განსახილველად, ადგილობრივი დავალებაც 21-ე საუკუნისათვის, სხვადასხვა სახის მონაწილეობის განვითარება, საზოგადოებრივი სიმპოზიუმებიც, სექტორული ან ტერიტორიული საბჭოებიც

და ამის მსგავსი, საბოლოოდ კი ბევრმა საზოგადოებრივმა გაერთიანებამ გამოიჩინა დაინტერესება ასეთი პრაქტიკის წასახალისებლად. ანდა მათი საზოგადოებრივი სტრუქტურებისა და უფრო მეტად აქტიური წევრების მოზიდვის გზით, ან ახალი საერთო პროდუქციის შექმნისა და განვითარების მეშვეობით, ან დიდი საჯაროობის, დიდი რესურსების და საზოგადოებრიობისა და პოლიტიკური ლეგიტიმურობის წყალობით“.

პინდადო, რებელიო და მარტის მიხედვით. პრაქტიკების გაზრდილი რაოდენობა, დაკავშირებული ადგილობრივ თვითმართველობისა და საზოგადოებრიობის მონაწილეობასთან, შეიძლება გავაერთიანოთ ორ ერცველ სახეობად, ხანგრძლივი მიზნისა და ერთდროულად ფუქემდებლური ფასეულობების გათვალისწინებით: მონაწილეობა ლეგიტიმიზაციისათვის ანდა მონაწილეობა ცვლილებებისათვის. „პირველ შემთხვევაში – მონაწილეობა ლეგიტიმიზაციისათვის – ისინი, ვინც მხარს უჭერენ ან ავითარებენ საზოგადოებრივობის მონაწილეობის გაფართოების პრაქტიკას, ისწრაფვიან გაამაგრონ თავდაპირველი პოზიციები, მიზნები და ინტერესები, და არ სურთ მათი შეცვლა. მეორე შემთხვევაში მიზანი ის კი არ არის, რომ დაეცნეთ ისეთები, როგორებიც ჩვენ ვართ და იქ, სადაცა ვართ“, არამედ პროგრამის გაღრმავებაა, რომელიც მისცემს მოქალაქეებს ცვლილებებისა და გარდაქმნების შემოთავაზებისა და მსჯელობის უფლებას“ [Pindado, Rebollo and Marti, 2002, 18]. ამასთანავე მონაწილეობა შესაძლებელია იყოს ნამდვილი სწავლება ყველა სუბიექტისათვის, რომლებიც ჩართულნი არიან ამ პროცესში და, რასაკვირველია, სახელმწიფო ადმინისტრაციების ორგანოების ჩართვითაც კულტურის პოლიტიკის ჩამოყალიბებაში.

მოქალაქეების მონაწილეობა – ეს არის ახალი დარგი, რომელიც მოითხოვს გამოცდილებას სხვა დარგებიდან. არსებული დოკუმენტები და ქარტიები – მაგალითად, „მონაწილეობის ქარტია“ – მიზნად ისახავს მონაწილეობის გაფართოების პროცესს ევროპის ქალაქებში. ამ ქარტიის დამუშავება (იხ. ჩანართი ე) გახდა „შედეგი დისკუსიისა, თანამშრომლობისა და კონკრეტული პრაქტიკების გაცვლისა მუნიციპალიტეტების არჩეულ წევრებისა სახელმწიფო მოხელეებისა და ქსელ Urbact participando - ში“ მონაწილე მცხოვრებელთა შორის.

მონაწილეობის ქარტია – ეს არის პოლიტიკური დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს ვალდებულებას სა'ზოგადოებრიობის მონაწილეობის განვითარებისა ევროპის ქალაქებში, როგორც შედეგი, დებატების, თანამშრომლობისა და კონკრეტული გამოცდილების, გაცვლების მუნიციპალიტეტების არსებულ წევრებსა, სახელმწიფო მოხელეებსა და ქსელ URBACT Participando - ში მონაწილე მცხოვრებლებს შორის. ქარტია ეყრდნობა პრინციპებს, რომლებიც განცხადებულია ევროპის კავშირის სხვა დოკუმენტებშიც, მაგალითად, ევროპის საბჭოს რეკომენდაციებში (რეკომენდაცია, წვერი ქვეყნების მინისტრთა კომიტეტებს მოქალაქეთა მონაწილეობის შესახებ ადგილობრივ სა'ზოგადოებრივ ცხოვრებაში – Rec.2001, 19) და საარბრუკების დეკლარაციაში, ხელმოწერილი 2005 წელს *კონფერენციაზე ევროპის ურბანული მომავალი*.

ქალაქები, რომელთა ხელმოწერებიცაა ქარტიის ქვეშ, ისწრაფვიან განვითარებისაკენ, ხელმძღვანელობენ სემოთ ხსენებული დოკუმენტებით და დამატებით განცხადებული პრინციპების კონკრეტული ვალდებულებებით იმ მიზნით, რომ მხარი დაუჭირონ მოქალაქეების მონაწილეობას სახელმწიფოს პოლიტიკის (მართვის) რეალიზაციაში. აი, როგორია საერთო მიზნები ქალაქებისა, რომლებმაც ხელი მოაწერეს ქარტიას:

- მონაწილეობისა და ადგილობრივი დემოკრატიული სივრცის გაფართოება (რეპრეზენტატიური და პარტიისიპატიური დემოკრატიის ფორმა);
- ადგილობრივი განვითარების სტრატეგიული ხედვა, რომელიც ორიენტირებულია ეკოლოგიურ, სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობაზე.
- უფლებამოსილება მოქალაქეებისა გააუმჯობესონ სოციალური ქსელი, სოლიდარობა, სოციალური სამართლიანობა და აგრეთვე შესაძლებლობა ერთობლივი გადაწყვეტილების მიღებისა სა'ზოგადოებრიობის ინტერესებში და ისეთი ფასეულობების აღიარება, როგორცაა, „სა'ზოგადოებრიობის კეთილდღეობა“, ტერიტორიული მემკვიდრეობა და საჯარო სივრცე.

ოფიციალური პოლიტიკის მიზნებსა და მოქალაქეების მოტივაციებს შორის... სოციურთი იყენებს ამ დაბრკოლებებს იმისათვის, რომ დისკრედიტაცია მოახდინოს ან გამოვიდეს პოლიტიკის ფორმირებაში მოქალაქეთა მონაწილეობის წინააღმდეგ; ამასთანავე ისინი მზად არიან უფრო სწრაფად გაიგონ „მონაწილეობა“, როგორც ლეგიტიმიზაციის ინსტრუმენტი და არა როგორც სასწავლო პროცესი. თუმცა, მთავარი პრობლემა მდგომარეობს თანმიმდევრობისა და მრავალშრიანი რთული გარემოს სწორ გაგებაში. ერთჯერადმა კონსულტაციებმა და მათგან გამომდინარე შედეგებმა შეარყიოს ნდობა არა მარტო აგიტაციის გამწევი ორგანიზაციის მიმართ, არამედ საკუთარი დემოკრატიის მიმართაც. მონაწილეობა კულტურის პოლიტიკის ჩამოყალიბებაში უნდა გახდეს ხანგრძლივი ვალდებულება.

არსებობს მრავალი მაგალითი, რომელიც ამტკიცებს, რომ მოქალაქეების მონაწილეობას კულტურული პროგრამების, მომსახურეობისა და ღონისძიებების დაგეგმვაში მოაქვს წარმატება, გარკვეულ დროში და შესაბამისი რესურსების არსებობისას. შედეგი ყოველთვის არის უფრო მეტად ერთსულოვანი პროექტი და ჩაღრმავება დემოკრატიაში. განსაკუთრებული მაგალითია – *ქონდი შიონ ფაბლიკის* შენობა (Condition Publique, ლილის მუნიციპალიტეტი, საფრანგეთი), ერთ-ერთი *maisons folie* (გართობის ცენტრი), რომელიც გაიხსნა 2004 წელს, პრო-აქტიური პროცესის ფორმით, ხელმისაწვდომი კვარტლის²⁰ (უბნის) ყველა მესობლისა და მცხოვრებლისათვის.

კიდევ ერთი საინტერესო *maisons folie* წარმოადგენს ცენტრი ლილის კვარტალ ვასემში თურქული აბანოებით, რადგანაც კერძოდ ამაზე იყო ადგილობრივი საზოგადოების მოთხოვნა, ხშირად იმისათვის, რათა დააკმაყოფილონ სამოქალაქო საზოგადოების კულტურული მოთხოვნები, ახალი კულტურული მომსახურეობის შემთავაზებლები იყენებდნენ სხვადასხვა მეთოდსა და ინსტრუმენტს, ისწრაფოდნენ რა მოეხიდათ მოქალაქეები და კულტურის წარმომადგენელი: მასტერ-კლასები, სემინარები, დისკუსიები, გამოფენები... ასეთ კონსულტაციას ყველაზე ხშირად მიმართავენ „ადგილობრივი მომსახურეობის“ დაგეგმვის დროს, ბიბლიოთეკებისათვის ან კულტურის ცენტრებისათვის და არა „მუნიციპალური მომსახურეობის“ დროს, მაგალითად, საკონცერტო დარბაზები ან მუზეუმები. შემდეგი რიგის მაგალითს წარმოადგენს კულტურული ღონისძიებები, რომელიც დაგეგმილია და განხორციელებულია გარკვეული რაიონის მცხოვრებლებთან ერთად.

²⁰ www.laconditionpublique.com

„ადგილობრივი მომსახურების“ დაგეგმვის დროს, ბიბლიოთეკებისათვის ან კულტურის ცენტრებისათვის და არა „მუნიციპალური მომსახურების“ დროს, მაგალითად, საკონცერტო დარბაზები ან მუსეუმები. შემდეგი რიგის მაგალითს წარმოადგენს კულტურული ღონისძიებები, რომელიც დაგეგმილია და განხორციელებულია გარკვეული რაიონის მცხოვრებლებთან ერთად. ბრიუსელის (*ზინეკე*)²¹ ან ლიონის (*დეფილე*)²² მცხოვრებლები იღებენ აქტიურ მონაწილეობას თანამედროვე ღონისძიებებში, თანამშრომლობენ, სწავლობენ (და იღებენ სიამოვნებას) ხელოვნების მოღვაწეებთან ერთად. ძალიან საინტერესო რამდენიმე პროექტია აღწერილი და გაანალიზებული ახალ წიგნებში მრავალმნიშვნელოვანი სახელწოდებებით *ინტერკულტურული ქალაქის დაგეგმვა*, ჯუდ ბლუმფილდი და ფრანკო ბიანჩინი [Jude Bloomfield and Franco Bianchini, 2004] და *დაუბრუნოთ ქალაქს მომიხიბვლელი*, ჟან პურსტელი [Jean Hurstel, 2006]

ასეთი გამოცდილება (მოქალაქეთა მონაწილეობისა კულტურული პროგრამების შემუშავებაში, მომსახურებასა და ღონისძიებებში) დაედო საფუძვლად მრავალ მაგალითს თანამონაწილეობისა ანდა კონსულტაციური პრაქტიკებისა პოლიტიკის ფორმირებისას, რაც იმსახურებს განსაკუთრებულ აღნიშვნას. არის ქალაქები ძლიერი კულტურული სამოქალაქო საზოგადოებით, რომლებმაც შექმნეს დამოუკიდებელი ქსელები, ისეთები, როგორიცაა: „კულტურული მონრეალი“ (იხ. ჩანართი ე). ამ ორგანიზაციამ, დაარსებულმა 2001 წელს, იქონია გავლენა მონრეალის კულტურის პოლიტიკაზე და მუშაობს მუნიციპალიტეტთან ერთად რამდენიმე მიმართულებით, რომელიც დაკავშირებულია კულტურულ განვითარებასთან. როგორც ჩანს, ეს კარგი მაგალითია იმისა, რასეც წერს ჯონ კინი (John Keane, 1998): „დემოკრატია – ეს არის სისტემა, რომელშიც სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო დაწესებულებები მიისწრაფვიან იფუნქციონირონ, როგორც ორმა აუცილებელმა ასპექტმა, ცალ-ცალკე, მაგრამ მომიჯნავე, სხვადასხვა მაგრამ ურთიერთდაკავშირებულმა.“

²¹ www.zinneke.org

²² www.ledifile.org

„კულტურული მონრეალი“ – ეს არის მონრეალის (კეპეკეი, კანადა) კულტურული ქსელი. ქვემოთ მოყვანილია ფრაგმენტები მათი ვებ-გვერდებიდან.

2001 წლის გაზაფხულზე სხვადასხვა კულტურული პროფესიების 200-ზე მეტმა წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ოცამდე სემინარში და პლენარულ სხდომებში, მონრეალის კულტურული გარემოს პროფესიული შეხვედრების პირველ სერიაში. 2001 წლის 10 ოქტომბერს უკვე 400 კაცამდე შეიკრიბა მონრეალის კულტურულ სამიტზე. აირჩიეს რა თემად *კულტურა მწვერვალზე*, ეს შეხვედრა გახდა კულმინაცია ყველა განხილვისა და კონსულტაციისა და წინაპირობა მოქალაქეებისათვის ერთობლივად განესაზღვრათ კულტურის ცენტრალური როლი მონრეალის განვითარებაში. ორგანიზაციის ოფიციალური შექმნით 2002 წლის 28 თებერვალს დაგვირგვინდა ათწლიანი პერიოდის განხილვები, რომელშიც მონაწილეობდა მონრეალის კულტურული საზოგადოება.

„კულტურული მონრეალის“ მისიას წარმოადგენს „კულტურის ცენტრალური როლი მონრეალის განვითარებაში“. „კულტურული მონრეალი“ – ეს არის დამოუკიდებელი არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან კულტურის მხარდაჭერაში მისი ყველა ფორმით, როგორც მონრეალის განვითარების მთავარი კომპონენტისა.

„კულტურული მონრეალი“ – ეს არის ადგილი ფიქრისა, დიალოგისა და მოქმედებისა, რომელიც განკუთვნილია კულტურული საზოგადოებისათვის, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღები პოლიტიკური და ეკონომიკური ორგანიზაციებისათვის, მოქალაქეებისათვის.

„კულტურული მონრეალი“ მონაწილეობას იღებს მონრეალის კულტურის განსაზღვრასა და შეცნობაში მთელი მისი სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით, ატარებს რა კვლევით, ანალიტიკურ კომუნიკაციურ და საგანმანათლებლო საქმიანობას.

საქმიანობა იმისათვის, რომ შეასრულო შენი მისია და მიაღწიო მიზანს, „კულტურული მონრეალი“ მუშაობს კულტურულ საზოგადოებასთან, პოლიტიკურ და სამოქალაქო გადაწყვეტილებების მიმღებ ორგანიზაციებთან, აგრეთვე მოქალაქეებთან და ცდილობს მუდმივად მიიზიდოს ისინი ამგვარ საქმიანობაში.

გაერთიანება: ორგანიზაციის მართვა, რათა გადაიქცეს დინამიკური შეხვედრების ადგილად ადამიანთა მობილიზაციისათვის, რომლებიც მხარს უჭერენ „კულტურული მონრეალის“ მისიას და მიზანს.

ინფორმირება: ექსპერტიზის განვითარება და საზოგადოებრივი ჩართვის მხარდაჭერა დოკუმენტაციის, კვლევის და ქმედებათა ანალიზის საშუალებით, ასევე საინფორმაციო გაერცელება ღონისძიებათა ორგანიზებისა და ქსელური მუშაობის პოპულარიზაციით.

ცოდნის გაღრმავება: სახალხო მხარდაჭერის წახალისება და კულტურის აღიარება მრავალმხრივი მოღვაწეობით, ქალაქის სტრუქტურის სპეციფიკისა და მონრეალის მრავალფეროვანი კულტურული გამოცდილების გათვალისწინებით.

შეთანხმება: მჭიდრო კავშირების მხარდაჭერა სხვადასხვა გაერთიანებასთან და პარტნიორთან ადგილობრივ, რეგიონალურ და ეროვნულ დონეზე იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს ტერიტორიების კულტურული პრიორიტეტების შექმნას.

შუამავლობა: საერთო პრობლემებისა და საკითხების გამოტანა სახელმწიფო და კერძო დირექტიული ორგანოების განსახილველად; საზოგადოების (გაერთიანების) კულტურული გარემოს მონაწილეობის წახალისება პარტნიორულ ქსელებში. კონსულტაციების პროცესში და გადაწყვეტილებათა მიღებაში.

კულტურული მონრეალი:

- აქვეყნებს მრავალ „მოსაზრებათა“ დოკუმენტებს: ჩანაწერებს, სარედაქციო სტატიებს, მოხსენებებს და სხვადასხვა მოსაზრებას.
- შედგება რამდენიმე კომისიისაგან, რომლებიც განსაზღვრავენ ორგანიზაციის საქმიანობის მიმართულებას და სამოქმედო მეგზურს.
- უკვეთავს და ავრცელებს კვლევით ანალიტიკურ მასალებს, როგორცაა ანგარიში, მომზადებული რიჩარდ ფლორიდას მიერ ქალაქის კულტურული სიცოცხლისუნარიანობის შესახებ [2005].

– ორგანიზებას უკეთებს საჯარო შეხვედრებს შრავალრიცხოვან სტუმართან და მომხსენებელთან ერთად, კერძოდ სამიტი *მონრეალი კულტურული დედაქალაქი*, რომელიც დაგეგმილი იყო 2007 წლის 7-8 ნოემბერზე.

– უშვებს ელექტრონულ მოამბეს *კულტურული მონრეალი ინფო* და უერთნაღს *მონრეალის კულტურები*.

– ფინანსდება საწვერო გადასახადების, კულტურისა და კომუნიკაციის სამინისტროს, ცირკის დიუ სოლეისა და ქალაქ მონრეალის ხარჯზე.

დამატებითი ინფორმაციისთვის „კულტურულ მონრეალზე“ ეწვიეთ ვებ გვერდს www.culturemonreal.ca.

კიდევ ერთი მაგალითი მოქალაქეების მონაწილეობისა კულტურის პოლიტიკის ფორმირებაში გახდა ქალაქ ზაგრების კულტურული სტრატეგიის შემუშავება. სტატიაში, რომელიც დაწერილი იყო პროექტისათვის: *აქტიური მოქალაქეები, ადგილობრივი კულტურები, ევროპის პოლიტიკა* (იხ.: ჩანართი ზ), ანდრეა ზლატარი აღნიშნავს, რომ „კულტურული სტრატეგიის დამუშავების საწყის საფეხურზე მუნიციპალიტეტმა მოაწყო ფართო დისკუსიები „კოლექტიურობის ახალ სახეობებზე“ (დამოუკიდებელი, ახალგაზრდული, სუბკულტურული), რომლებმაც აღმოაჩინეს ახალი მოთხოვნები „დაფარული პეტეროტოპები“. სხვა ძალიან საინტერესო გამოცდილება იყო განვითარებული *პოლიტიკა კულტურის მხარდასაჭერად* პროგრამის ჩარჩოებში (იხ.: ჩანართი ზ), მაგალითად, რეგიონ ტიმიშო (რუმინეთში) ანდა ქალაქ პლოვიეში (ბულგარეთში).

ჩანართი ზ ზაგრების დაფარული პეტეროტოპები

„რა როლს თამაშობს ხორვატიის დედაქალაქი საერთო ნაციონალურ – კულტურულ განვითარებაში? ეს სრულიად კანონიერი კითხვაა. შესაძლებელია თუ არა საუბარი ზაგრების კულტურულ იდენტურობაზე (ან უფრო სწორედ – კულტურულ იდენტურობებზე)?“

არსებობს თუ არა გარკვეული სტრატეგია ანდა კულტურული პოლიტიკა ქალაქის დონეზე? რა სახით შეიძლება იქნეს გადატანილი ცნება მდგრადი კულტურული განვითარება ნაციონალურიდან ქალაქის დონეზე? მსგავსი კითხვები ჩვენ მოფიქრებული გვქონდა, როდესაც ჩვენ ვაყალიბებდით კულტურულ სტრატეგიას“, – წერს ანდრეა ზლატარი, ზაგრების ქალაქის კულტურის სამმართველოს ყოფილი ხელმძღვანელი. ცენტრალური ევროპისა და აღმოსვლეთ ევროპის სხვა ქალაქების მსგავსად, ზაგრებმა 1990 წლებში მიიღეს დრო გადაიტანა. ერთი მხრივ, ელვისებურად ვითარდებოდა პრივატიზაციის პროცესი, „როდესაც არ ითვალისწინებდნენ კულტურული ობიექტების თავისებურებებს და მათი პრივატიზაციით გამოწვეულ შესაძლებელ უარყოფით შედეგებს“, ანუ, „გამომცემლობების უმრავლესობა დანგრეული იქნა, ხოლო წიგნების მაღაზიების ქსელები გამოცარიელებული“. მეორე მხრივ, ზაგრებში გამოჩნდა ბევრი ახალი ახალგაზრდული და დამოუკიდებელი პროექტი, რომელიც წარმოადგენდა თანამედროვე კულტურული ცხოვრების საფუძველს და უსრუნველყოფდა კულტურულ სტაბილურობას – ფაქტი, რომელსაც ხშირად იგიწევენ, ვერ ამჩნევენ ან სრულიად უარყოფენ მას. კულტურული სტრატეგიის დამუშავების საწყის ეტაპზე ზაგრებს ეყო ეაუკაცობა ღიად გაეანალიზებინა სიძნელებები, რომელსაც ეჯახება დამოუკიდებელი ინიციატივები: სახელდობრ, „იმის საფრთხეს, რომ სახელმწიფო და ქალაქი დაეხმარებიან დაფინანსებაში მხოლოდ ისეთ კულტურულ საქმიანობაში, მაშინ, როდესაც საბიუჯეტო კულტურული ორგანიზაციები დაფინანსებას იღებენ პროგრამებზე, შრომის ანაზღაურებაზე და შინაარსზე, (...) აუცილებელია გაითვალისწინოთ კავშირი კულტურულ დაწესებულებებსა და არაინსტიტუციონალურ ორგანიზაციათა მიერ წარმოებულ კულტურულ პროდუქციას შორის. ზაგრების კულტურის პოლიტიკის ფორმირება უნდა ყოფილიყო ღია და მოიცავდეს კულტურის მთელ სექტორს“. ანდრეა ზლატარი თვლის, რომ კულტურის დაგეგმვაში უნდა იქნეს მოზიდული „კოლექტიურობის ახალი ტიპები“ (1), რომელთა „მიზანიც რაიმე მთავარი იდეის რეალიზაციაში, სასურველი შედეგის ან მიზნის მიღწევაში კი არ მდგომარეობს, არამედ თვით შემოქმედებით პროცესში“ (2), „რაც სრულიად შლის სასლევარს ხელოვნებას, როგორც მოღვაწეობის

ცალკეულ სფეროსი, და ყოველდღიურ ცხოვრებას შორის“ და (3) რომლებიც წარმოქმნიან შემოქმედებით დაიბადებობას „პირადულსა და კოლექტიურს“ შორის. დამოუკიდებელი ახალგაზრდული კულტურა ძალიან ხშირად ასახიერებს ამ თვისებებს და, როგორც ზღაღარი აღნიშნავს, მათი წარმომადგენლები უნდა მიიხილონ კულტურის დაგეგმვის პროცესის მთავარი მონაწილეების სახით.

ერთ-ერთი მაგალითთაგანი შეიძლება იყოს „საჯარო შეხვედრების სერია, რომელიც ორგანიზებული იყო 2005 წლის გასაფხულს იმ მიზნით, რომ გასცნობოდნენ ახალგაზრდულ და დამოუკიდებელ კულტურებს, განეხილათ კავშირი ქალაქის კულტურის პოლიტიკასა და დამოუკიდებელ კულტურას შორის და აგრეთვე პრობლემები, რომლებიც დაკავშირებული იყო დამოუკიდებელი და ახალგაზრდული კულტურების სივრცესთან. ზოგჯერ დისკუსიები მწვავე და რთული იყო. მაგრამ ეხმარებოდნენ აბსოლუტურად განსხვავებული შეხედულებების გამოვლენაში, იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ და გაიაზრებენ ჩვენთვის ერთიან და საერთო რეალობას – თუნდაც, რაღაც გარკვეული დროით (...). ჯამში, საბოლოო მიზანი დისკუსიისა – ერთობლივი დეკლარაცია დამოუკიდებელი კულტურული საქმიანობისა და ახალგაზრდული კულტურის სივრცის უზრუნველყოფის აუცილებლობაზე მიღწეული იქნა: დეკლარაციას ხელი მოაწერეს მთავარმა პოლიტიკურმა პარტიებმა როგორც სამთავრობო, ასევე ოპოზიციურმა და პოლიტიკური ცხოვრების შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში ჩვენ შევძლებთ დაეინახოთ შედეგი (ანდა შეიძლება ითქვას – ბედი) ასეთი გადაწყვეტილებებისა“. ძალიან ბევრ ქალაქს ეშინია ღია განხილვებისა. ანდრეი ზღაღარის გამოცდილება გეჩვენებს, რომ ღია განხილვები მთლიანად ამჟღავნებენ ქალაქის არსს, ხოლო განხილვები კულტურის ახალგაზრდული და დამოუკიდებელ სექტორების მონაწილეობით წარმოადგენს აუცილებელ პირობას უხილავი ქალაქების გამოსავლენად, რომლებშიც ჩვენ ვცხოვრობთ, „გამორჩეული და სრულიად სხვანაირი საგრებისა, უხილავი ჩვეულებრივი გამვლელებისათვის“.

ანდრეი ზღაღარის სიტყვებით, დისკუსიების წყალობით შესაძლებელი გახდა დაფარული პეტროტოპიის გამოვლენა: „ფუკოს განმარტების

თანახმად, პეტეროტოპიული ადგილები – ეს არის თავისებური ლოკალიზებული უტოპია (...) პეტეროტოპიის ძალა მდგომარეობს მათ უნარში, შეცვალოს რეალობა, დაფაროს, წაშალოს ის, [ხოლო] განსხვავება პეტეროტოპიები ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში“.

ანდრე ზლატარის სტატია სრულად ხელმისაწვდომია www.policiesforculture.org.

„21-ე საუკუნის დაელება - კულტურაში“ მთავარ თემას წარმოადგენს მოქალაქეებისა და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა. მუხლი 5 განსაზღვრავს, რომ „კარგი მართვის მთავარ პრინციპებს მიეკუთვნება ინფორმაციის გამჭვირვალობა, საჯარო მონაწილეობა კულტურის პოლიტიკის კონცეფციის შემუშავებაში, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება და პროგრამებისა და პროექტების შეფასება, ხოლო მუხლი 19 მიგვითითებს მოვალეობებზე... შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებაზე მოქალაქეების დემოკრატიული მონაწილეობის მიღების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო კულტურის პოლიტიკის ფორმირებისა, რეალიზაციასა და შეფასებისა“. მუხლი 11 ადგენს, რომ „კულტურის პოლიტიკამ უნდა გააწონასწოროს სახელმწიფო და კერძო ინტერესები, სახელმწიფოს ფუნქციები და კულტურის ინსტიტუციონალიზაცია. გადაშტეტებული ინსტიტუციონალიზაცია ანდა ბაზრის განუსაზღვრელი ძალაუფლება, როგორც ერთადერთი დისტრიბუტორისა კულტურული რესურსებისა სარისკოა და ხელს უშლის კულტურული სისტემების დინამიკურ განვითარებას. მოქალაქეების დამოუკიდებელი ინიციატივა პირადი ანდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ანდა მოძრაობების შემადგენლობაში საფუძვლად უდევს კულტურულ თავისუფლებას.

6. მოქალაქეობის მნიშვნელობის ახალი გაგებისათვის

მოქალაქეთა კულტურის პოლიტიკის პრაქტიკაში მონაწილეობის განვითარება წარმოადგენს კულტურის პოლიტიკის მიღების (ჯერ კიდევ განუვითარებელი) ერთ-ერთ დავალებას, დაფუძნებულს ადამიანის უფლებებზე და კულტურულ მრავალფეროვნებაზე. მანამ, სანამ შევესწავლით, როგორ არის აგებული ეს მოდელი (იხ. ქვემოთ, კულტურის არეალის განსაზღვრის და დაგეგმვის გზით), აუცილებელია განვიხილოთ მოქალაქეობის მნიშვნელობის გაგება, წარსული წლების კულტურის პოლიტიკის გაუმჯობესება, ფრანკო ბიანჩინისა [Franco Bianchini, 2006] და მისი გამოკვლევების დახმარებით, რომელიც დაწერილი იყო პროექტისათვის: *აქტიური მოქალაქეები, ადგილობრივი კულტურები, ევროპული პოლიტიკა*. „მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთ ევროპული ქალაქების კულტურის პოლიტიკამ კულტურისა და მოქალაქეობის სხვადასხვა კონფიცია განახორციელა, თუმცა ახალი კონცეფციები ვერ ცვლიდნენ წინას, ეს კი არა, პირიქით, მასთან ერთად დაინერგა, რითაც შექმნა წინააღმდეგობრივი დასაბუთება ურბანული კულტურული ჩარევისა.

დასავლეთ ევროპის ლიბერალურ დემოკრატიებში ურბანული კულტურის პოლიტიკის ფორმირება შეიძლება დაიყოს სამ დიდ ეტაპად, რომელიც ასახავს ხსენებული მოქალაქეობის სხვადასხვა კონცეფციას. დომინირებული კონცეფცია, რომელიც არსებობდა ომის დამთავრების შემდეგ 1960 წლის ბოლომდე, იყო მოქალაქეთა *სოციალური კონცეფცია*. მეორე ეტაპზე 1960 წლის ბოლოდან 1980-იან წლებამდე მრავალ ქალაქში სოციალური მოქალაქეების პარალელურად გამოჩნდა უფრო მეტად ინოვაციური და რადიკალური ცნება *ემანსიპირებული მოქალაქეობისა*. მესამე ეტაპზე, 1980 წლის შუიდან დღემდე მრავალი ქალაქის ადმინისტრაცია, რომლებიც იძულებულნი არიან ირეაგირონ ეკონომიკურ რესტრუქტურისა ციკლზე, ქალაქებს შორის კონკურენციის სრდისა და ნეოლიბერალური სახელმწიფოების მხრიდან ფისკალური სეწოლის გამო, აღიქვამენ, სოციალურსაც და ემანსიპირებული მოქალაქეობასაც მეორადად. ხოლო პრიორიტეტად თვლიან საერთაშორისო იმიჯს და ქალაქის ადგილობრივ მიწში დევლობას უცხოური კომპანიებისათვის, მოკლევადიანი უცხოური ეკონომიკური მოგებისათვის კულტურაში ინვესტირებისათვის.“ უფრო დაწერილებითი ანალიზი იხილეთ წინართში თ.

მოქალაქეობის კონცეფციები, რომელიც მიღებული იქნა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში, კულტურის პოლიტიკაში, დასავლეთ ევროპულ ქვეყნებში, აღწერა ფრანკო ბიანკინიმ – *სოციალური მოქალაქეობა* (1940-იანი წლების შუა ხნიდან, 1960-იანი წლების ბოლომდე) ემყარება მისწრაფებას, „წარმოაყვადგინოთ კულტურული მომსახურება, როგორც კეთილდღეობის სახელმწიფო გაგრძელება“ და აღიქმებოდა, როგორც „კულტურა ტრადიციული, ვიწრო გაგებით, უმთავრესად, როგორც ქალაქის ცენტრში განლაგებული მაღალი კულტურის ორგანიზაციები, მიბმული გარკვეულ შენობებთან“. საკვანძო სიტყვა იყო „კულტურის დემოკრატიზაცია“, რომელიც ეყრდნობოდა ექსპერტების უფლებამოსილებას, განესაზღვრათ კულტურული ფასეულობები და სახელმწიფოს როლი, მოსახლეობის უმეტესი ნაწილის ცივილიზირებულობაში“ იმისათვის, რომ კულტურა გამხდარიყო უფრო ხელმისაწვდომი ფართო მასებისათვის (...)

კულტურის ასეთი კონცეფცია ითვალისწინებდა გარკვეულ სოციალურ ვალდებულებას კულტურის მუშაკების ნაწილისათვის, რომლებიც ისწრაფოდნენ თვითსრულყოფისაკენ მეცნიერული და კრიტიკული უნარჩვევების აქტიური შექმნის გზით და ამგვარად, იზრდებოდა მათი შრომის ნაყოფიერება და საზოგადოების საერთო კულტურული დონე. ამასთანავე აპრიორი ვარაუდობდნენ, რომ კულტურა, რომელშიც ხსნებულნი მუშაკები იღებდნენ მონაწილეობას, მათ ნაბოძები და მემკვიდრეობით ქონდათ მიღებული და რომ მათ არ შეეძლოთ მასში კვალის დატოვება და არც მისი შექმნა (...). შენარჩუნებული იყო კონცეფცია პოზიტიური, ნაციონალური კულტურისა, რომელიც სვეიდან იყო დაშვებული ინტელექტუალური ელიტის მიერ.

– *ემანსიპირებული მოქალაქეობა* (1960 წლის ბოლო და 1980-იანი წლების შუაში, აქცენტს აკეთებდა მოსახლეობის კულტურულ საქმიანობაში მონაწილეობის მნიშვნელობაზე, როგორც სოციალური ემანსიპაციისა და საზოგადოების განვითარების გზაზე. „კულტურის“ განსაზღვრება გაფართოვდა, გააერთიანა რა თავში თანამედროვე და პოპულარული ფორმები, ისეთები, როგორიცაა: ელექტრონული

მუსიკა, ვიდეო, ფოტოგრაფია, კომიქსები და კედლის ფერწერა. მრავალ ქალაქში გაჩნდა ახალი ინფრასტრუქტურა რაიონულ – კულტურულ ცენტრებში, რომლებიც უკვე აერთიანებდნენ უფროსების განათლებას ახალგაზრდული და შემოქმედებითი საქმიანობით (...). ქალაქების ემანსიპირებული კულტურის პოლიტიკის ორი მთავარი სტრატეგიის რეალიზაციის მიზანი იყო მათი ჩართვა საერთო საჯარო სივრცისა და ადგილობრივი თვითმყოფადობის შექმნაში და აგრეთვე შესაძლებელი უფლებების ადამიანებისათვის და მოსახლეობის დაუცველი ჯგუფებისათვის საკუთარი აზრის გამოსატყველად შესაძლებლობის მიცემა, რათა მათ აღიქვან საკუთარი თავი, როგორც შეგნებული საზოგადოება და თავისი არსებობა გახადონ შესამჩნევი საჯარო სფეროს აღორძინებაში.

– „პოლიტიკურ კლიმატში მარჯვნივ გადახრამ დასაველეთ ევროპის უმეტეს ქვეყანაში და მსარდმა სეწოლამ ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების ფინანსურ რესურსებზე მეორე პლანზე გადაწიეს სოციალური და ემანსიპირებული მოქალაქეობის წინა ეტაპები (...) მრავალ ქალაქში გამოჩნდა ახალი ეკონომიკური არგუმენტი. შემადგენელ ნაწილად ქალაქის მარკეტინგისა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობისა, რომელიც მოწოდებულია მობილური საერთაშორისო კაპიტალისა და პროფესიული პერსონალის მოზიდვაზე, სულ უფრო ხშირად განიხილება აქტიური, კოსმოპოლიტური კულტურული ცხოვრება (...) სიტყვით, თითქოს შენარჩუნდა სოციალური და ემანსიპირებული მოქალაქეობის მხარდაჭერა, მაგრამ შეიძლება აღინიშნოს მოქალაქეობის კონცეფციის სრული არარსებობა, რომელიც საფუძველს შეუქმნიდა ურბანულ კულტურის პოლიტიკას და რომელიც მიმართული იქნებოდა მხოლოდ საერთაშორისო ეკონომიკური კონკურენტუნარიანობისაკენ.“

ფრანკო ბიანიკინის მოხსენების სრული ვერსიის ნახვის საშუალება გაქვთ ვებ გვერდზე:
www.policiesforculture.org.

ბიანიკინი გეთავაზობს მოქალაქეობის ახალი ცნებისაკენ გადასვლას, „იმისათვის, რომ გადაღაახო საერთაშორისო კონკურენციის დესტრუქტიული ტენდენციები, რომელიც ამახინჯებს ქალაქების კულტურიზირებული აღორძინების მცდელობას 1980-იანი წლების 'შუა ხანიდან'. ეს ახალი ცნება უნდა ეყრდნობოდეს არა მიდგომას კომუნის თვალსაზრისით, „რომელიც ვარაუდობს წინასწარ დადგენილი კონსენსუსის არსებობას“, არამედ თავისუფალ სისტემას (...), რომელიც შექმნილია სამოქალაქო საზოგადოების დამოუკიდებელი სუბიექტების თვითორგანიზაციის გზით, როდესაც ქალაქი გთავაზობს სწავლებას და აქტიურად მოითხოვს პროექტებს და იდეებს ქალაქის პოლიტიკის ყველა დარგში (...) ამასთანავე საჭიროებს უფრო მეტად ინტეგრირებულ მიდგომას ურბანული კულტურის პოლიტიკის ფორმირებისადმი. მის საფუძველში ნაღებული უნდა იქნეს ფართო ანთროპოლოგიური განსასწავლელი „კულტურისა“, როგორც „ცხოვრების სახისა“. ასეუმა სტრატეგიამ უნდა შეისწავლოს და ამოქმედოს ქალაქის ყველა კულტურული რესურსი, დაწყებული ფიზიკური გეგმითა და დისაინით, არქიტექტურული და ინდუსტრიალური მემკვიდრეობით, ადგილობრივი ტრადიციული რეწვით, სევეების მრავალფეროვნებითა და ხელოვნებით და დამთავრებული საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებით, განათლებისა და კულტურის ორგანიზაციებით, ტურისტული მომხიბვლელიობითა და წარმოდგენებით ქალაქზე, რომელიც შედგება მითებისაგან, ცხოვრებისეული გამოცდილებისა, კულტურული და საინფორმაციო სახეებისაგან. ამ სტრატეგიამ უნდა გადაღაახოს გამიჯვნა, რომელიც არსებობს საზოგადოებრივ და კერძო სექტორებს, სხვადასხვა კორპორაციულ ინტერესსა და სხვადასხვა პროფესიულ დისციპლინას შორის. მან უნდა ხელი შეუწყოს უფრო მეტად საკონსულტაციო და ღია მიდგომის განვითარებას პოლიტიკის ფორმირებისა, უსრუნველყოს უფრო მეტად ფართო ფორმები პოლიტიკური მოდელაწეების სწავლებისა. (...) იმისათვის, რომ დადგინდეს ქალაქში კულტურული მოქალაქეობის მკაფიო და ლოგიკური საფუძვლიანი კანონმდებლობა, აუცილებელია შეიქმნას ფუძემდებლური იდეა ქალაქზე, როგორც ცალკე პროექტზე, კულტურული პორისონტის გაფართოების მიზნით და გაძლიერდეს შესაძლებლობა ყოველდღიური ცხოვრებისა და საჯარო სფეროს ხელახალი დაგეგმისა“.

თავის მომხიბვლავ გამოკვლევებში: „კულტურული ფასეულობები და ლეგიტიმურობის კრიზისი“ ჯონ ჰოლდენი [John Holden 2006, 10] წერს, რომ

„კულტურის სისტემა“ გადაიქცა რაღაც დახურულ და გაღიზიანებულ საუბრად ხელოვნების მოღვაწეებსა და პოლიტიკოსებს შორის მაშინ, როდესაც პირველი გვერდები ინფორმაციის მასობრივი საშუალებებისა ასრულებენ დესტრუქციულ როლს ურთიერთობებში პოლიტიკასა და სასოგადოებრივობას შორის,“ პოლდენი ხა'სს უსვამს, რომ „ეს პრობლემები ატარებენ აშკარა სისტემატიურ ხასიათს, მაგრამ მათი გადაწყვეტა უნდა მომდინარეობდეს კულტურის პროფესიონალებისაგან (...) ეს მათგან მოითხოვს სიმამაცეს, თავში დარწმუნებლობას და რადიკალურობას ახალი გზების ძიებისას უშუალოდ მოქალაქეებთან დიდი ლეგიტიმურობის შესაქმნელად. პრაქტიკა ამტკიცებს, რომ ასეთი მიდგომა შესაძლებელია, წარმატებული იყოს და დააკმაყოფილოს ყველა დაინტერესებული მხარე – პოლიტიკოსები, თვითონ ხელოვნების მოღვაწეები და, უპირველეს ყოვლისა – ფართო სასოგადოებრიობა [2006, 10].

პრობლემას მკვეთრად განსაზღვრავს მიქელ ენებარია [Mikel Etxebarria, 2005, 10]: „ჩვენს საჯარო პოლიტიკას აკლია მოქალაქეების მონაწილეობა პოლიტიკაში ადგილობრივ დონეზე ისევე, როგორც მართველობის ყველა დონეზე. ჩვენ გვესმის, რომ სტიმულირება და მოქალაქეების განვითარება ყოველთვის იოლი საქმე არ არის. მონაწილეობის პროცესის სირთულე სხვა დანარჩენს შორის აიხსნება ინდივიდუალიზმის აყვავებითა და არარსებობა ნათელი, გარკვეული მოსაუბრისა, თუმცა ისიც მართალია, რომ მემკვიდრეობით გადმოსული ადმინისტრირების ინერტულობა და გადაამეტებული გასაიდუმლოება წარმოადგენს მიზეზებს, რომლებიც თვით სახელმწიფო მართვის ორგანოებშიც კი აბრკოლებენ მოქალაქეთა მონაწილეობის პროცესს. სტრატეგიული გეგმების შედგენამ მონაწილეობის განვითარების პროგრესი აღნიშნა კოორდინაციისა და ტერიტორიული ადმინისტრაციების ხელმძღვანელობის გაძლიერების მეშვეობით. მაშინ, როდესაც მოქალაქეთა მონაწილეობა, რომლებიც იყვნენ სახელმწიფო მომსახურების ბოლო მომხმარებელი, არ იყო მიღებული მხედველობაში. რაც შეეხება კულტურას, მაინც ძირითადად ჩვენი სახელმწიფო მომსახურების მიმღებნი, გარდა ხელოვნების მოღვაწეებისა, პროფესიონალური შემოქმედებითი კავშირებისა და ა. შ. წარმოადგენენ მოქალაქეები, რომელნიც არც ძირითად შემოქმედებითი კავშირების წევრები და არც კულტურული ორგანიზაციების წარმომადგენლები არ არიან.

ამიტომაც ჩვენგან მოითხოვება ძალისხმევა იმისათვის, რომ მივაღწიოთ ამას, წაეხადისოთ და შესაძლებელი გაეხადოს მათი მონაწილეობა სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრაში, რომლის მომხმარებლებიც თვითონ ისინი უნდა იყვნენ“.

ნებისმიერი პროგრამა, რომელიც მიმართულია კულტურის პოლიტიკის ფორმირებაში მოქალაქეთა მონაწილეობის განვითარებისაკენ, მოითხოვს მონაწილე სუბიექტების შემადგენლობის გადახედვას. კულტურულ სფეროში არსებობს გარკვეული ტრადიცია პრობლემებზე მსჯელობისა სახელმწიფო სექტორსა და სუბიექტებს შორის, რომლებიც წარმოადგენენ კერძო ან არასამთავრობო კულტურულ ორგანიზაციებს შემოქმედებითი ციკლის ყველა სტადიაზე: განათლება, შექმნა, წარმოება, გაერცელება, ტირაჟირება, შენარჩუნება. მაგრამ დღეს ეს უკვე საკმარისი არ არის. ახლა ჩნდება აშკარა მოთხოვნილება მონაწილეობის ბაზის გაფართოებისა, სხვა სიტყვებით, – გარკვეული ტერიტორიის „კულტურული რესურსები“ (იხ. ჩანართი 4 და 5) კულტურული არეალის განსაზღვრაზე და დაგეგმარებაზე). ერთი მხრივ, ეს უნდა ხდებოდეს ორგანიზაციებისა და ასოციაციების მიმართულებით, რომლებიც ხშირად, არ მოქმედებენ, როგორც კულტურის სუბიექტები, მაგალითად: ადგილობრივი ინფორმაციის მასობრივი საშუალებები ახალი ტექნოლოგიების კომპანიები, ადგილობრივი ასოციაციები, სკოლები ტრენინგის ცენტრები და სხვა. მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია მოძრაობა უშუალოდ მოქალაქეებისაკენ, როგორც კულტურის მოსარგებლეთა და მისი მომხმარებლებისაკენ, ასევე სხვებისაკენ (მაგალითად: მცხოვრებლები, რომლებიც ცხოვრობენ კულტურის და პროფკავშირების დაწესებულებების და მრავალ სხვათა მეზობლად და ა. შ.). იდეები და ინსტრუმენტები იქმნება სწორედ ამ მიზნით. მეტი აღარ უნდა იყოს მობოდიშება იმის გამო, რომ მოქალაქეები არ არიან მოზიდულნი კულტურის პოლიტიკის ფორმირების პროცესში. კულტურის სუბიექტები ამუშავებდნენ თავის გამოკვლევებს და პროგრამებს, რომლებიც მისდევენ ინოვაციური ინიციატივისა და ელიტარობის ლოგიკას, მაგრამ თუ კულტურა უნდა იყოს ჩვენი, ავიღოთ გაერთიანებების ცხოვრების ცენტრში, ჩვენ ვაღდებულნი ვართ, ჩვენ თავზე ავიღოთ პროცესების აღჭურვა, რომელიც დაგვეხმარება ვისაუბროთ ჩვენ გეგმებზე, პროგრამებზე და პოლიტიკაზე ყველა მოქალაქესთან. ეს ყველაფერი დამოკიდებულია საზოგადოებასთან კავშირზე.

დღეს ინიციატივები „ქემოდან-ზეით“ (დაწვებული არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, სახალხო მოძრაობებისა და ასოციაციებიდან, პარტნიორობის საერთაშორისო ქსელებიდან, სასოგადოებრივი ფონდებიდან) და „ზევიდან ქემოთ“ (სახელმწიფო ორგანიზაციებიდან) გვხვდება თანამშრომლობის პოლიტიკის ფორმირების ფარგლებში. ამიტომ „მნიშვნელოვანია განათვაროთ, პრინციპი: „შეეხეთ, გეთაყვა“ შემოთავაზებული ეღუარდ მირალესის მიერ, თავის სტატიაში, რომელიც დაიწერა პროექტისათვის: „აქტიური მოქალაქეები, ადგილობრივი კულტურები, ევროპული პოლიტიკა“ (იხ. ჩანართი ი).

ჩანართი ი „შეეხეთ, გეთაყვა“

ეღუარდ მირალესი ბარსელონის კულტურის განყოფილების საგარეო ურთიერთობის განყოფილების უფროსია. აქტიურად იცავს კულტურას, პოლიტიკასა და მოქალაქეობას შორის ახალი კავშირის ფორმას. ის გეთაყვაზობს შემოვიტანოთ პრინციპი: „შეეხეთ, გეთაყვა“ სახელმწიფოს (მართვის სხვადასხვა დონეზე) და სასოგადოებას შორის ურთიერთობებში. მიუხედავად იმისა, რომ ეს პრინციპი გამოგონილია დასავლეთ ევროპის სამხრეთში, მისი გამოყენება შეიძლება ყველგან. „დიადოგი სახელმწიფო მართვის სფეროსა (რეგიონალურ, პროვინციულ და ადგილობრივ დონეებზე) და სასოგადოების ორგანიზაციების სფეროს შორის, ტრადიციულად ეფუძნება თეორიულ და გარეგნულ პატივისცემას – იმისათვის, რომ თავი შეიკავო ერთმანეთის საერთო და ურთიერთ „შეხებისაგან“, როგორც გადარჩენის გარანტია – რაც თავის თავში მაღაედა სულ ცოტა ორ სტრუქტურულ დააეადებას, რომლისგანაც სასწრაფოდ უნდა განთავისუფლებულიყო დემოკრატიული წარმომადგენლობის ლეგიტიმისაციის ფორმალური მექანიზმების უკმარისობა და სოგიერთი გახევებული ასოციაციის სასოგადოებრივი მასის შემცირებით კორპორატივისით ცდუნება და დაწვეერებისა და ფრაგმენტაციის გადაჭარბებული დონით. ისევე, როგორც ძლიერი სახელმწიფოს გარეშე (თუნდაც დეცენტრალიზებული, მონაწილეობითი და სუბსიდირებული), დემოკრატია სუსტია,

ორგანიზებული, მოქნილი და დინამიკური საზოგადოების გარეშე დემოკრატია არასრულია. ამიტომაც აუცილებელია, თავი დაეღწიოს მემკვიდრეობით ტაბუს: „ხელი არ ახლო“, როგორც მთავარ პირობას დემოკრატიული აღორძინებისა. ამ მნიშვნელობით პრინციპი: „ხელი შეახეთ, გეთაყვა“ ერთიანი და აუცილებელი წინადადების სახით პროგრამული ინიციატივების და სტრუქტურული კორექტირებული მექანიზმების ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის მიღებას. ისევე, როგორც ორგანიზებულ სამოქალაქო საზოგადოებას აქვს უფლება და მოვალეობაც, უთხრას საზოგადოების ხელმძღვანელობას, რას აკეთებს ის და რას არ აკეთებს და როგორ აუცილებელია ამის გაკეთება, საზოგადოების ხელმძღვანელობასაც შეუძლია და ასევე უნდა მოიქცეს გაერთიანებების მიმართ. ერთნაირ ხარისხში და, უპირველეს ყოვლისა, ეს ყოველივე ეხება ადგილობრივ დონეს“.

ედუარდ მირალესი საუბრობს კულტურული გაერთიანებების მოძრაობის სიმდიდრის კრიტიკული შეფასების აუცილებლობაზე, რადგანაც:

ა). ის „ძირითადად ჰეტეროგენულია, „არაერთგვაროვანია“, დანაწევრებული და არასრულყოფილი. ტრადიციული და პრაქტიკულად განუახლებელი გაერთიანებები მონაწილეობის შედარებით დაბალი დონით თანაარსებობენ ცუდად სტრუქტურირებულ დაჯგუფებებთან, რომლებშიც წარმოდგენილია ახალგაზრდობა, რომელიც ახორციელებს ძალიან საინტერესო პროექტებს“.

ბ). შედარებითი აქტიურობა პროფესიული კავშირებისა ხელოვნებაში და კულტურაში (გაერთიანებები, რომლებიც ძირითადად არ განსასწავლენ თავის საქმიანობას ადგილობრივ დონეს) კონტრასტში მოდიან გაერთიანებებთან დაბალი დასწრებით ან სულაც დაუსწრებლობით, რომლებიც დაკავშირებულნი არიან კულტურის მომხმარებლობით ან პრაქტიკით“;

გ). „გადაამუტებული ენოვანობით, რაც მდრეკილებით გამეორებისაკენ, სხვა სიტყვებით, მიმზიდველობისა და ღონისძიებათა ხარისხის და კულტურული გაერთიანებების წინადადებების საერთოდ არ არსებობა“. აუცილებელია, კრიტიკულად განვიხილოთ ადგილობრივი კულტურული პოლიტიკა იმავე ნიშნით, რადგანაც მესამე სექტორს არასაკმარისად

ისიდაევენ მის შემუშავებაში, რეალიზაციასა და შეფასებაში. მირაღესი მიუთითებს დუმილის პოლიტიკის „უარყოფით შედეგებზე (...). ადგილობრივი პოლიტიკა კულტურის დარგში, როგორც წესი, განიხილავდა კავშირების, მონაწილეობის, სახალხო მოძრაობის, ეოლონტიორობის საკითხს და ან „ორგანიზებული“ საზოგადოების ვიწრო ტაქტიკური და კონიუნქტურული პოზიციებიდან“. სოგჯერ მონაწილეობა ესმოდათ მხოლოდ და მხოლოდ როგორც კულტურული მომსახურეობისა და დაწესებულების, მართვის ლოგიკა და არა როგორც „პროგრამისა“ კერძოდ, კულტურის პოლიტიკის – „პროგრამის“ მთავარი ელემენტი“.

მირაღესი გამოთქვამს აწრს იმაზე, რომ კულტურულ დაწესებულებებს შეუძლიათ ითამაშონ ინსტრუმენტების როლი ორგანიზებული კულტურული მოქალაქეობის შექმნაში, მაგრამ „ამასთანვე წარმოადგენენ არა ერთადერთ ინსტრუმენტს ისევე, როგორც მათი ფუნქცია მდგომარეობს არა მხოლოდ იმაში, რომ ახლოს იყენენ მოქალაქეებთან“. უფრო სუსტად კი, სტრატეგიული მნიშვნელობა ადგილობრივი კულტურული სივრცისა და დაწესებულებებისა სამოქალაქო საზოგადოების ასაშენებლად განპირობებულია სულ ცოტა სამი ძირითადი მიზეზით:

ა). „systole - diastolic“, თითქოს სისხლის ნაკადი გულის გაკლით მოძრაობს გარკვეული ტერიტორიის კულტურული წარმომადგენლობისა და კულტურული ინიციატივების დაწესებულებებზე. კულტურულ დაწესებულებას აქვს სპეციფიკური უნარი, გამოამდინარე მათი სიმბოლური შესაძლებლობებიდან ხელში, ჩაიგდოს არაორგანიზებული ადამიანები და ცუდად სტრუქტურირებული ინიციატივები და შემდეგ დააბრუნოს ისინი უკან თავიანთ გარემოებაში უფრო მეტად შეთანხმებულნი და დამატებითი ღირებულებებით;

ბ). ისინი ასრულებენ მთავარ როლს მართვად გადასვლაში მომსახურეობის პასიური მოხმარებიდან ანდა ლონისძიებებზე დასწრებიდან უფრო მეტად ან ნაკლებად აქტიურ შეთავაზებათა ფორმულირებაზე, ერთი სიტყვით, მეტ-ნაკლები დამოუკიდებელი

პასუხისმგებლობის აღება სრული ან ნაწილობრივი პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე მართვაში და

გ). მათ ასევე გააჩნიათ სტრატეგიული მნიშვნელობა ინდივიდუალური ინიციატივებიდან ცუდად ორგანიზებული არაფორმალური დაჯგუფებების, სოლიდურად სტრუქტურებულ ასოციაციებზე გადასვლისას.

ფულად მარაღვის სტატიის სრულად წაკითხვა შეგიძლიათ ვებ გვერდზე: www.policiesforculture.org.

7. კულტურული რესურსების არეალის განსაზღვრა და დაგეგმარება
ახალი კულტურის პოლიტიკის განხორციელება მოქალაქეობის მხარდასაჭერად ეყრდნობა თანმიმდევრულ და მდგრად პროცესებს კულტურული რესურსების არეალის განსაზღვრისას და დაგეგმვისას“. ეს პროცესები ჯერ არ გამხდარა ევროპაში მთავარ დინებად. და თუმცა ბოლო ათწლეულებში ევროპის სხვადასხვა ქალაქმა მიმართეს ამას თავიანთი კულტურული სტრატეგიის შემუშავებისას, მაგრამ მხოლოდ 'სოციეტომა მათგანმა მიაღწია წარმატებას ხანგძლივ პერსპექტივაში, გამოიყენეს რა ხსენებული იდეები მთლიანად. და ამაში არაფერი არ არის უცნაური; ეს მოწმობს კულტურის „აგენტების“ სისუსტეს, კულტურულ სფეროში საკამათო მომენტებს (კერძოდ, „მოთხოვნები“ კულტურის ინსტრუმენტალიზაციისა) და, უპირველეს ყოვლისა, შეცდომებზე სწავლით ხანგძლივი მუშაობის აუცილებლობას. Eppure si muove („და ის მაინც ბრუნავს!“). დასაწყისისათვის დაეყობ კულტურული რესურსების არეალის განსაზღვრა და დაგეგმარება, ამისათვის ვისარგებლოთ კოლინ მერსერის [Colin Mercer, 2002, 2006] დასკვნებითა და სტატიებით. არეალის განსაზღვრა უნდა გახდეს პირველი ნაბიჯი, იდენტიფიკაციისა და რესურსების რეგისტრაციის ნათელით. დაგეგმვა კი დაკავშირებულია რესურსების გამოყენებასთან განვითარების მიზნით.

კოლინ მერსერი მხარს უჭერს კულტურულ მოქალაქეობას, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, და გეთავაზობს ზოგიერთი ინსტრუმენტების გასაღებებს, რომლებიც საშუალებას მისცემენ ქალაქებსა და ქვეყნებს ამ მიზნისაკენ სვლაში. სტატიაში, რომელიც დაწერილი იყო პროექტისათვის: „აქტიური მოქალაქეები, ადგილობრივი კულტურები, ევროპული პოლიტიკა“, მერსერს მოჰყავს განმარტება, თუ რას ნიშნავს კულტურული რესურსების არეალის განსაზღვრა:

„ეს არის გადაწყვეტი პირობები პოლიტიკის ფორმირებაში მოქალაქეების მონაწილეობით გაერთიანებებისა და მოქალაქეთა, როგორც სუბიექტებისა, და ასევე დაგეგმვის ობიექტების აქტიური მოზიდვა მოცემულ კონტექსტში. ჩვენ ვლაპარაკობთ არეალის განსაზღვრაზე, რომელიც იზიდავს მოქალაქეებს ფასეულობის და რესურსების აღმოჩენისა ან განახლებებისაკენ კულტურის პოლიტიკისათვის და განვითარებისათვის.“

კულტურული რესურსების არეალის განსაზღვრა ყველაზე კარგად აღწერა ავსტრალიელი აბორიგენების კულტურის ცნობილმა მეკლდეარმა, პროფესორმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ მარსია ლენგტონმა (Marcia Langton): „არეალის განსაზღვრას შეაქვს თავის ფუნქციაში იდენტიფიკაცია და გარკვეული ტერიტორიის კულტურული რესურსების რეგისტრაცია სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების მიზნით. არეალის განსაზღვრის გზით გაერთიანებებსა და ინტერესთა ჯგუფებს, რომელსაც ისინი შეადგენენ, შეუძლიად თავიანთი კულტურული პრაქტიკისა და რესურსების ფიქსირება და აგრეთვე სხვა არამატერიალური აქტივებისა, ისეთებისა, როგორიცაა: ადგილის აღქმა და საზოგადოებრივი ფასეულობა. კულტურული რესურსების რუკებს შეუძლიათ ჩართონ სუბიექტური გამოცდილება, სხვადასხვა საზოგადოებრივი ფასეულობა, მრავალი ახსნა-განმარტებანი და ასევე უფრო მეტად უტილიტირებული „კულტურული ინვენტარი“. იდენტიფიცირებული ადგილობრივი და კულტურული ფასეულობები შეიძლება ჩადებული იყოს კულტურული ტურიზმისა და ეკოლოგიური

ტურიზმის სტრატეგიის დაგეგმვის საფუძველად თემატური არქიტექტურის პროექტირებისას და კულტურული ინდუსტრიის განვითარებაში.“

რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ამას კულტურული პოლიტიკის დამუშავების კონტექსტში სასოგადოებრიობის მონაწილეობისას? ერთ-ერთი პასუხთაგანი ამ შეკითხვაზე მდგომარეობს იმაში, რომ ეს არის მთავარი ინსტრუმენტი „კულტურული კაპიტალის შეფასებისას“ ანდა „სასოგადოების კულტურული შეფასებისას“. გამოკვეთვებისა და კონსულტაციების ინსტრუმენტი, რომლის მიზანია არა უბრალოდ შედარება გარკვეული სასოგადოების ან რეგიონის კულტურისა, არამედ მოქალაქეების მოსიდევაც.

როგორც გვიხსნის ამარესვარ გალა (Amaresvar Galla): „მიზანს წარმოადგენს აღენიშნოთ მდგრადი და აქტიური გაერთიანებები, უფრო მეტად შეკრული სასოგადოებრივი ქსელები, უფრო მეტი ნდობა გაერთიანებებში და თვითშეგნებისა და ადგილის სწორი გაგების ნაპოვნი გრძნობა, აგრეთვე მსარდი უნარი გაერთიანებისა საკუთარი მოთხოვნილებების კომპლექსური განხილვისა... ეს მოითხოვს ღია მიდგომას აღიარებულ კულტურული მოთხოვნებისადმი სასოგადოების სხვადასხვა ნაწილში, კერძოდ, ჯგუფებში, რომლებიც სხვა შემთხვევაში შეიძლება აღმოჩნდნენ მარგინალიზირებულნი კულტურული, სოციალური ან ეკონომიკური თვალსაზრისით“.

ეს არის კულტურის პოლიტიკის აგება *ქმედებაში*, რომელიც შედგება სასოგადოებების კულტურული რესურსების ბაზის აღმოჩენა/განახლებისაგან და გადაწყვეტილებების მიღების სისტემებისაგან, თუ როგორ მოვახდინოთ ამ რესურსების მობილიზება – სხვა სიტყვებით, თანამონაწილეობის კულტურის პოლიტიკისა“.

დაგეგმარება – ეს არის პროცესი, შემსრულებლების, მიზნების, ღონისძიებების, რესურსების და მოსალოდნელი შედეგების გამაერთიანებელი, როგორც გარკვეული პროექტის შემადგენელი ნაწილებისა. სინამდვილეში ჩვენ, თვითოეული ცალ-ცალკე, ვგაგმათ ჩვენი ყოველდღიური საქმიანობის სხვადასხვა ასპექტს, თუმცაღა ამას არ ეუწოდებთ დაგეგმარებას. დაგეგმარებას, თუნდაც არა გამარტივებული სახით, იყენებენ ორგანიზაციები თავის საქმიანობაში, კერძოდ ისეთები,

რომლებიც პასუხისმგებელი არიან ურბანულ კულტურის პოლიტიკაზე. „კულტურული დაგეგმარება არ ნიშნავს კულტურის დაგეგმვას, ის უფრო გარანტიას იძლევა, რომ კულტურული მოსაზრებები ყოველთვის იქნება გათვალისწინებული დაგეგმარების და განვითარების ყველა პროცესში“, - წერს კოლინ მერსერი [2002,7]. უფრო დაწვრილებითი განსაზღვრება კულტურული დაგეგმარებისა მოყვანილია ჩანართში ლ.

ჩანართი 1 კულტურული დაგეგმარება

ქვემოთ მოყვანილი ფრაგმენტები კოლინ მერსერის სტატიიდან, რომელიც დაწერილი იყო პროექტისათვის *აქტიური მოქალაქეები, ადგილობრივი კულტურები და ევროპული პოლიტიკა* [2006b, 6-8].

„კულტურული დაგეგმარება“ არ ნიშნავს „კულტურის დაგეგმვას“, არამედ უფრო გარანტიას იძლევა იმისას, რომ „კულტურული ელემენტი“, კულტურული მოსაზრებები, კულტურული რესურსები იარსებებენ პოლიტიკის დაგეგმვისა და შემუშავების ყოველ ეტაპზე. ეს არის მთავარი მექანიზმი მოქალაქეების მოზიდვისა კულტურის პოლიტიკის რეალური და მატერიალური ფორმირებისას.

თუკი კულტურა აღნიშნავს იდენტურობას, ცხოვრების წესს, ქცევას, ეთიკურ ნორმებს ორგანიზაციების ყოველდღიური არსებობის მართვას და ფორმას, მაშინ რთული არ არის ყოველივე ამის მხარდაჭერა. მაგრამ თუკი ჩვენ გადავწყვეტთ ავაშენოთ პოლიტიკა კულტურასთან მიმართებაში ან დავაკავშიროთ კულტურა განვითარების მიზნებთან, მაშინ ასევე ვდებულობთ – პირდაპირ ან ირიბ – დაგეგმარების ლოგიკას, ანუ დაგეგმვა ეხება არა მხოლოდ „უხეშ ინფრასტრუქტურას“, არამედ „მოქნილ“ და კრეატიულ ინფრასტრუქტურებსაც: ადამიანებს და იმასაც, რისი ჩადენაც მათ შეუძლიათ ან არ შეუძლიათ.

როგორც ფრანკო ბიანიკინი შენიშნავს: კულტურული დაგეგმვა – ეს „რთული ხელოვნებაა“. ის შესაძლებელია იყოს მარტივი და ზედაპირული, შექმნას გასართობი და სანახაობრივი ნიღაბი იმისათვის, რომ დაფაროს უფრო მეტად ღრმა სოციალური და ეკონომიკური უსამართლობა. კულტურული დაგეგმარების ცუდი მაგალითი შეიძლება

იყოს ე. წ. მსოფლიოში ყველაზე უფრო საუკეთესო კულტურული ცენტრის შექმნა, რომლის გარშემოც იქნება გაღარიბებული სამეზობლო ცარიელი ქუჩები, შეზღუდული საზოგადოებრივი ტრანსპორტი, უსახლკარო ოჯახები და გაბანკროტებული საწარმოები. ეს არ არის კულტურული დაგეგმარება.

ცოტა უკეთესი, მაგრამ არც თუ ისე დამაკმაყოფილებელი სახე კულტურული დაგეგმარებისა განსაზღვრავს აუცილებელ ნაბიჯებს მას შემდეგ, როგორც კი დამგეგმარებელნი დაასრულებენ თავიანთ სამუშაოს: ანუ, კულტურული დაგეგმვა ასრულებს თავის ფუნქციას მართვისა და ესთეტიკური გაუმჯობესებისა. ეს არ არის კულტურული დაგეგმვა. არც ერთს ამ ორი მაგალითისა - არც პირველს და არც მეორეს არ შეიძლება დავარქვათ კულტურული დაგეგმვა ამ ცნების ნამდვილი მნიშვნელობით.

მაშ, რას ნიშნავს სინამდვილეში კულტურული დაგეგმარება? თავს ნებას მივცემ შევაჯამო ასეთი სიტყვებით: *კულტურული დაგეგმარება წარმოადგენს კულტურული რესურსების სტრატეგიულ და სრულფასოვან გამოყენებას საზოგადოებების განვითარებაში*“.

კოლინ მერსერის სტატია სრულიად ხელმისაწვდომია გვერდზე: www.policiesforculture.org.

კულტურული პოლიტიკის ახალი პარადიგმის შემოთავაზებისას ცენტრალური როლი უნდა შეასრულოს ადგილობრივი თვითმართელობის ორგანოებმა. ეს ასრი კოლინ მერსერმა ასე ჩამოაყალიბა: „გლობალიზაციის (ეკონომიკური, სოციალური და ეთიკური გაგებით) შესაძლებლობაზე ანდა ხიფათზე ნებისმიერი რეაქციის საფუძველად უნდა ჩაიდოს არა უიმედობის გამოვლინება, არამედ განვითარება ინდივენური და ენდოგენური შესაძლებლობისა, შეიქმნას ადგილები, შეიქმნას პროდუქტები, შეიქმნას გამოცდილება, მეხსიერება, ისტორიები, ამბები და სახეები, რომელნიც ამკვიდრებენ: რა სად არის, ვინ და რა არის და თუ როგორ განვენახვავებთ და შევიცნობთ საკუთარ თავს (...). ადგილობრივი თვითმართელობის ორგანოები და ადგილობრივი პოლიტიკა გამოდიან მშენებლად და მამოძრავებელ ძალად მოსახლეობის ეფექტური მონაწილეობისა ამ პროცესში. მაგრამ ლაპარაკია

არა უბრალოდ „მომსახურეობის შემოთავაზებისა“ ან „სუბსიდირების“, ლოგიკასე, აქ შესაძლებელია მეორე როლიც – ფასილიტატორისა, შუამავლისა ან ბროკერობისა“ [Mercer; 2006a, 2].

8. ინსტიტუციური ინოვაცია

მოქალაქეობის მხარდასაჭერად ახალი კულტურის პოლიტიკის განვითარება მოითხოვს სტრუქტურულ ინოვაციებს, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ახალ პოლიტიკურ არქიტექტურას. ედუარდ მირალესი [Eduard Miralles, 2004], მიუთითებს რა უკუკავშირსე „კულტურული“ პროექტის „მასშტაბისა“ და კულტურის მენეჯერების რეალურ მონაწილეობას შორის, ირონიულად შენიშნავს: კულტურა ხდება მეტისმეტად მნიშვნელოვანი იმისთვის, რომ ის კულტურის პოლიტიკის ხელში დაგტოვოთ (...). იმ დროს, როდესაც მათი ყოფნა, ვისაც ტრადიციულად თვლიან „კულტურის მენეჯერებად“ – მიცემულ შემთხვევაში დამოუკიდებლად მათი სპეციალური, პოლიტიკური ან მრავალდარგობრივი პროფილისა, – „სტრატეგიულ“ კულტურულ პროექტებში, როგორც წესი, უკუპროპორციულია ამ პროექტების მნიშვნელობისა, ხოლო მონაწილეობა იმ განყოფილებების მენეჯერებისა, რომლებიც ტრადიციულად ითვლება „მკაცრად“ – ეკონომიკის, ქალაქის დაგეგმარების და ა. შ. – ხდება პირდაპირ პროპორციული. უფრო მეტიც, კულტურის არსებობა (ყოფნა) ადგილობრივი დაგეგმარების ინსტრუმენტებში არც თუ ისე ოპტიმალურია. კულტურის მიმართ გადაამეტებული „მოთხოვნები“ ეხება მის ინსტრუმენტალიზაციას. კულტურის სამმართველოები ან განყოფილებები თითქმის არასდროს იღებენ მონაწილეობას ადგილობრივი დაგეგმარების ინსტრუმენტებში ან პროექტებში, ძალიან ხშირად მათ უგულვებელყოფენ ანდა აიძულევენ აიღონ თავის თავსე მიღებული ვალდებულებები სხვა დარგებში. ამავე დროს კულტურის სექტორი ინერტული რჩება: გადაჭარბებული შინაგანი დანაწევრება, კულტურის წარმომადგენლები მეტისმეტად ნაკლებად არიან თავის კონცეპტუალურ ციხესიმაგრეებში და მოქმედებებში, ხელმძღვანელებსე შინაგანი ლოგიკით და არ ფიქრობენ მოქალაქეებსე.

აუცილებელია, კულტურის სამმართველოებმა დაიკაონ ჯეროვანი ადგილი და მოითხოვონ წამყვანი როლი. კულტურული უფლებები, როგორც ბაზისი, კულტურული მრავალფეროვნება, როგორც პრობლემა და შესაძლებლობა, და კულტურის შინაგანი ფასეულობები (მეხსიერება, შემოქმედება, კრიტიკული

ასროვნება, ტრადიციები, ხარისხი, სიღამა'სე, მრავალფეროვნება და შესაძლებელია, სხვა(ც) შეიძლება გახდეს წარმატებული საკვანძო განსაზღვრებები. თუკი კულტურის სამმართველოები არ აიღებენ თავის თავზე წამყვან როლს, კულტურას გადაელაპავს ეკონომიკური, სოციალური ან ეკოლოგიური ამოცანების გადაწყვეტა. ისე, როგორც არასდროს საჭიროა საჯაროდ გამოცხადდეს კულტურის გადაწყვეტი მნიშვნელობა, ამისათვის მთავარია – მიმაცობა, ხოლო (ჩვენს შემთხვევაში) განმცხადებლებად უნდა იქცნენ კულტურის მუნიციპალური სამმართველოები. ჯონ ჰოლდენის [John Holden, 2006, 58-59], ასრით ინსტიტუციური ინოვაციის ქვეშ იგულისხმება ის, რომ „ნაციონალურმა პოლიტიკამ უნდა უფრო მკაფიოდ და გაბედულად წამოაყალიბოს თავისი კულტურული მიზნები და განმარტოს მოქალაქეთა უფლებები, მიიღოს სიამოვნება და იყოს გატაცებული კულტურით – უფლებები, რომელიც დადგენილია გაეროს ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაციის 27-ე მუხლში (1).

ჰოლდენი აგრეთვე აღნიშნავს, რომ „პოლიტიკოსებმა უნდა აჩვენონ თავიანთი ლიდერობა კულტურასთან ზიარებისა და მისით გატაცებისა“, რომ „უნდა იყოს ახალი, კანონით განმტკიცებული ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ვალდებულებები კულტურული ფასეულობის შესაქმნელად სახსრების გამოყოფა'სე, დამოუკიდებელი რაოდენობრივი მანქნებლებისაგან ანდა ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების მიერ სხვა პრიორიტეტების გათვალისწინების აუცილებლობისა“, რომ „საჭიროა რეგონალურ პოლიტიკას დაეაღწეინოთ თავი ეკონომიკურ განვითარება'ზე დაციკვლისაგან და მოვიცვათ პრობლემების უფრო ფართო წრე, რომ კულტურისათვის აუცილებელია გარკვეული „რისკიანი კაპიტალი“ არა მარტო კულტურული ნაწარმოებისათვის, არამედ ინსტიტუციური ინოვაციისათვისაც“ და რომ „საჭირო გახდება ახალი დაეალება ანალიტიკური და საპროექტო დამუშავებისათვის კულტურულ ფასეულობებ'სე გასრდილი დაინტერესების გათვალისწინებით.

ამ ახალი სისტემის ერთ-ერთი ასპექტითაგანი გახდება ფოკუსირება ცვლილებებთან დაკავშირებული საორგანიზაციო შესაძლებლობების საკითხებ'სე და აგრეთვე კულტურული საქმიანობის შედეგებ'სე. ბოლოს კი ჰოლდენი [2006, 53-54] აგრეთვე აღნიშნავს, რომ საჭიროა უფრო სრული

